

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების  
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამტკიცებულია კომისიის  
2011 წლის 24 მარტის  
№7/1 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2010 წელი

ქუთაისი  
24 მარტი 2011 წელი

## სარჩევი

	გვ.
შესავალი	3
I კომისიის შესახებ	5
კომისიის წევრები	5
კომისიის აპარატი	5
ბიუჯეტი	6
II ძირითადი ფუნქციების განხორციელება	7
ტარიფების დადგენა და რეგულირება	7
ლიცენზირება და სალიცენზიო პირობების კონტროლი	16
სამართლებრივი საქმიანობა	26
მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა	28
სერტიფიკაცია	33
საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	38
III რეგულირებადი დარგების მდგომარეობა	41
ელექტროენერგეტიკის სექტორი	41
ბუნებრივი გაზის სექტორი	50
წყალმომარაგების სექტორი	52
დანართები №1-21	57

## შესავალი

წინამდებარე ანგარიშში დაწვრილებითაა აღწერილი 2010 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისია) მიერ გაწეული საქმიანობა. ანგარიში შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოკლედია მოცემული ზოგადი ინფორმაცია კომისიის შესახებ 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით; მეორე – ძირითადი ნაწილი – დათმობილი აქვს კომისიის ფუნქციების განხორციელებას; მესამე ნაწილში შეფასებულია რეგულირების დარგების (ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების სექტორი) განვითარების საანგარიშო ერთწლიანი მონაკვეთი; მეოთხე ნაწილში კი მოცემულია დანართები, სადაც ასახულია სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების განვითარების შესახებ.

საანგარიშო წელს კომისიის მუშაობაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ძვრები მოხდა; საკანონმდებლო დონეზე გაიზარდა კომისიის უფლებამოვალეობები. განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პირველად, საქართველოს სინამდვილეში, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, დადგინდა წყალმომარაგების ტარიფები. დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის. გაფართოვდა და უფრო შინაარსიანი გახდა კომისიის ურთიერთობა საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

მთლიანობაში კომისიის საქმიანობა საანგარიშო წელს, ვფიქრობთ, წარმატებული იყო, რაც შესაბამისად აისახა ქვეყნის ენერგო და წყალმომარაგებაზე.

განსაკუთრებით წარმატებული იყო 2010 წელი ელექტროენერგეტიკისათვის. ამ წელს ელექტროენერჯის წარმოებამ საქართველოში 10 მლრდ კვტ.სთ-ს გადააჭარბა, რაც რეკორდულია ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში, ხოლო ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის გამომუშავება (9374,9 მლნ.კვტ.სთ) რეკორდულია არამარტო დამოუკიდებლობის, არამედ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მთელი ისტორიისათვის. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: 2010 წელს ექსპორტზე გატანილი იქნა 1524,3 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია. ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი საქართველოს არ ჰქონია 1991 წლის შემდეგ. შედეგად ელექტროენერჯის სიჭარბემ მის მოხმარებასთან შედარებით 1302,2 მლნ.კვტ.სთ შეადგინა. მდგომარეობა შთამბეჭდავია ახალი საუკუნის პირველი ათი წლის მიხედვითაც. 2010 წელს 2000 წელთან შედარებით, საქართველოში ელექტროენერჯის გამომუშავება გაიზარდა 35,1%-ით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე წარმოებამ თითქმის 2 ათას კვტ.სთ-ს მიაღწია, რაც 17,3%-ით მეტია 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაოები: დაიწყო ფარავნისა და ლუხუნის ჰესების მშენებლობები, 5 ჰესის მშენებლობაზე ინვესტორებთან გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმები. თანმიმდევრულად, კომისიის მიერ დადგენილი გრაფიკით, ხორციელდება მომხმარებელთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

პოზიტიური ძვრებია ბუნებრივი გაზის სექტორში. 2010 წელს საქართველომ მოიხმარა 1094,0 მლნ კუბ.მ გაზი, რომელიც წინა წლის მაჩვენებელზე 8,8%-ით ნაკლებია. აღნიშნული შემცირება კი მთლიანად თბოსადგურებში ელექტროენერჯის წარმოების შემცირებითაა (29,2%-ით) გამოწვეული, რომელიც, ცხადია, დადებითი ტენდენციაა. ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ბუნებრივი გაზის მიწოდების გრძელვადიანი კონტრაქტი დაიდო (2020 წლამდე) აზერბაიჯანულ კომპანია შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან“. აშენდა 10კმ

სიგრძის 700 მმ-იანი მილსადენი ნავთლული-საგურამოს მიმართულებით, ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა სენაკი-ფოთის ხაზზეც. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების საგურამო-ხაშურის გაზსადენის რეაბილიტაციისათვის. მიმდინარეობს წინასაპროექტო სამუშაოები მიწისქვეშა გაზსაცავის აშენებისათვის, რომელიც დიდად გააუმჯობესებს საქართველოს გაზომომარაგების საქმეს.

სახეზეა მუშაობის გააქტიურება წყალმომარაგების გაუმჯობესების მიმართულებით. აქ წარმატებით დაიწყო და ხორციელდება პროგრამა „წყალი ყველა სოფელს“, რომლის თანახმად, რეგიონული წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის სულ 3 მლრდ დოლარია ნავარაუდები. ანალოგიური სამუშაოები პრიორიტეტულია დედაქალაქშიც.

ყველა ზემოაღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ ენერგეტიკაში და წყალმომარაგებაში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა და დარგის რეგულირება სწორად ხორციელდება და მიმზიდველ გარემოს ჰქმნის ინვესტიციების მოზიდვისათვის.

ქვემოთ უფრო ვრცლადაა მოთხრობილი ყველა ზემოაღნიშნულის შესახებ.

# I. კომისიის შესახებ

## კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია 5 წევრისაგან შედგება. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 30 აგვისტოს №454 და №455 განკარგულებებით, კომისიის წევრად და თავმჯდომარედ 6 წლის ვადით დაინიშნა გურამ ჩალაგაშვილი, ხოლო კომისიის წევრებად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 6-6 წლის ვადით დაინიშნენ: 2005 წლის 17 აგვისტოს №662 განკარგულებით – ირმა ქავთარაძე, 2007 წლის 21 სექტემბრის №517 განკარგულებით – ზურაბ გაბელაია, 2008 წლის 20 ოქტომბრის №673 განკარგულებით – მაია ნადირაძე და 2010 წლის 17 აგვისტოს №818 განკარგულებით – სერგო მესხი. 2009 წლის 5 ოქტომბრიდან 2010 წლის 26 თებერვლამდე კომისიის წევრად მუშაობდა ვასილ როინიშვილი.

## კომისიის აპარატი

კომისიის დებულების შესაბამისად, კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები (იხ. დანართი 1):

ა. 10 დეპარტამენტი – იურიდიული, ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგეტიკის, წყალმომარაგების, ტარიფებისა და ფასწარმოქმნის, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობათა, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, საქმისწარმოებისა და საკადრო საქმეთა, საფინანსო-საბიუჯეტო, სერტიფიკაციის;

ბ. ერთი დამოუკიდებელი სამმართველო – კომპიუტერულ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის;

გ. კომისიის თავმჯდომარისა და წევრების აპარატი.

კომისიის აპარატი, ძირითადად, დაკომპლექტებულია ინჟინერ – ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალობით, ეკონომისტებითა და იურისტებით.

კომისიასთან აპარატისგან დამოუკიდებლად არსებობს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომლის ხელმძღვანელია ვარლამ ფხაკაძე.

2010 წელს კომისიის აპარატი შედგებოდა 108 თანამშრომლისაგან.

კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით მომზადდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს დოკუმენტის მოძიების შიდა პროცედურებს, მოიცავს რა დასაქმებულთა პირადი საქმეების, ნამსახურობის ნუსხების, თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების, შრომითი ხელშეკრულებების, შვებულებების, მივლინებებისა და სხვა ინფორმაციებს.

მიმდინარეობდა აგრეთვე მუშაობა კომისიის თავმჯდომარის ბრძანებათა ელექტრონული არქივის შესაქმნელად. დასრულდა არქივში დაცული ყველა ბრძანების სკანირება და ელექტრონულ პროგრამაში განთავსება. აღნიშნული დოკუმენტაციის

ელექტრონული არქივირება მნიშვნელოვნად ამარტივებს მუშაობას.

უზრუნველყოფილია კომისიაში არსებული ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის მოწყობა. 2010 წელს ჩატარდა კომისიასთან არსებული საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში თანაშემწის შესარჩევი კონკურსი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კონკურსის სამდივნო.

მუდმივად ხორციელდება კომისიის თანამშრომელთა პროფესიული განათლების დონის ამაღლების ღონისძიებები.

2010 წელს გაიმართა 42 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 31 დადგენილება და 177 გადაწყვეტილება.

### ბიუჯეტი

კომისიის 2009 წლის 24 სექტემბერის №15/19 გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2010 წლის საპროგნოზო ბიუჯეტით კომისიამ შემოსავალი განსაზღვრა 7215151 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 6693810 ლარით. 2010 წლის მანძილზე კომისიის ბიუჯეტმა გარკვეული სტრუქტურული ცვლილება განიცადა, შესაბამისად, 2010 წლის კორექტირებული ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გაიზარდა 1494173 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 1506390 ლარით.

## II. ძირითადი ფუნქციების განხორციელება

### 1. ტარიფების დადგენა და რეგულირება

2010 წელს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში ტარიფების რეგულირების კუთხით განხორციელდა ტარიფების დადგენა კონკრეტული ლიცენზიატებისა და მიმწოდებლებისათვის; შესრულდა ანალიტიკური სამუშაოები დარგში მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკურ პროცესებზე. საანგარიშო პერიოდში ენერგეტიკულ სექტორში სატარიფო საკითხებზე მიღებულ იქნა კომისიის 14, ხოლო წყალმომარაგების სექტორში – 2 დადგენილება.

#### *ა) ელექტროენერგეტიკა*

კომისიის მიერ ელექტროენერჯის სექტორში მიღებული დადგენილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენას. კერძოდ, 2010 წლის განმავლობაში განხილული იქნა ექვსი სატარიფო განაცხადი, რომელიც ეხება ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატებისათვის ზღვრული ტარიფის დადგენას. აღნიშნული სატარიფო განაცხადები განხილული და დამტკიცებული იქნა იმ პროცედურების დაცვით, როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა. აღნიშნული დადგენილებები ცვლილებების სახით შევიდა “ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ” კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში, მათ შორის:

1. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 18 მარტის №3 დადგენილება.

2010 წლის 23 თებერვალს სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველსა და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ შორის გაფორმდა ოქმი სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შედეგების დამტკიცების შესახებ. ამ ოქმის შესაბამისად სს „თბილსრესის“ ქონება მფლობელობაში და სარგებლობაში გადაეცა მყიდველს – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ მომართა კომისიას წარმოების ლიცენზიის მიღებასთან და „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტარიფების სიდიდეების შეუცვლელად კორპორაცია ითხოვდა დასახელების შეცვლას (სს „თბილსრესის“ (თბილსრესის №3,4,8 ბლოკები) – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციით“ (თბილსრესი)). კომისიამ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

2. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 21 ივნისის №7 დადგენილება.

2007 წლის 5 თებერვალს დაიდო „ჰიდროელექტროსადგურების და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის“ ხელშეკრულება ერთის მხრივ საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“, შპს „აჭარის ენერჯო კომპანიას“ და მეორეს მხრივ „ენერჯო-პრო ეი.ეს.“ და სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ შორის. აღნიშნული ხელშეკრულების მე-11 დანართის მიხედვით განისაზღვრა სს „ენერჯო-პრო ჯორჯიასათვის“ ტარიფის დადგენისა და მისი ინდექსაციის მექანიზმები. აღნიშნული დანართით „გატარებისა და განაწილების დადგენილი მარჟა“ განისაზღვრა 2007 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 მაისამდე, შესაბამისი გადახედვის მექანიზმებით 2010 წლის 1 სექტემბერს, 2012 წლის 1 სექტემბერს და 2014 წლის 1 ივნისს.

სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“ შემოვიდა კომისიაში წერილით, სადაც აცხადებდა რომ განახორციელებს მოსახლეობის სრულ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას 3-4 წლით ადრე, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით, თუ მოხდება კომისიის მიერ განაწილების და გატარების ტარიფების გადახედვა უფრო ადრე, ვიდრე ეს იყოს დადგენილი ხელშეკრულებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული თხოვნა და გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის სრული ინდივიდუალური გამრიცხველიანება უპირველეს ყოვლისა შედის თვით მოსახლეობის ინტერესებში და ამავე დროს ეს არის ქვეყნის ენერჯეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 აგვისტოს №170 დადგენილების შესაბამისად, დათანხმდა სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“-სთვის განაწილებისა და გატარების ტარიფების ვადაზე ადრე გადახედვას.

3. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 24 ივნისის №9 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების მიღების მიზანია ელექტროენერჯის ისეთი ნაკადების სრულ სამართლებრივ და ფინანსურ ჩარჩოებში მოქცევა, რომლის დაუგეგმავი შემოდინება ხდება საქართველოს ელექტროსისტემაში. ძალიან იშვიათად, თუმცა არის შემთხვევები, როცა ელექტროენერჯის ექპორტ-იმპორტის რეჟიმის დროს, სისტემების სინქრონიზაციის პროცესში შესაძლოა მოხდეს სისტემათაშორისო ხაზებით ელექტროენერჯის დაუგეგმავი შემოდინება (ეს არის ელექტროენერჯის მოცულობის ძალიან მცირე რაოდენობა), რომლის ფინანსური წარმომავლობა არის გაურკვეველი და შესაბამისად რთულია ელექტროენერჯის ამ მოცულობაზე საბაჟო დეკლარაციის წარმოდგენა და შემდეგ მათი ელექტროენერჯეტიკული სექტორის ფინანსურ სისტემაში მოქცევა.

გამომდინარე იქიდან, რომ „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით განსაზღვრული ელექტროენერჯის იმპორტის ტარიფის დადგენის ფორმულის ძირითადი მდგენელი ელექტროენერჯის სახელშეკრულებო ფასია, ზემოაღნიშნული შემთხვევისათვის კომისიამ 2010 წლის 24



ინვისის №9 დადგენილებით განსაზღვრა სახელშეკრულებო ფასი, რომელიც ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე ტოლი უნდა იყოს სისტემის კომერციულ ოპერატორზე გაყიდული ყველაზე მაღალი ელექტროენერჯის ტარიფისა, ხოლო ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – რეგულირებადი ფიქსირებული ტარიფის მქონე იმ ჰიდროელექტროსადგურის მიერ გაყიდული ელექტროენერჯის ტარიფისა, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი.

**4. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №13 დადგენილება.**

2010 წლის 6 ივლისს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლითაც განისაზღვრა გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის პრინციპები. ამ ცვლილებებითა და დამატებებით გარანტირებული სიმძლავრის საფასური დგინდება არა კვტს-ზე, როგორც იყო აქამდე, არამედ ყოველდღიურ განაკვეთზე (ბაზისზე). აღნიშნული ცვლილების განხორციელება კომისიას, ამავე კანონის 49<sup>4</sup> მუხლის საფუძველზე, დაევა 2010 წლის 15 აგვისტომდე, ხოლო საქართველოს მთავრობას დაევა 2010 წლის 15 ივლისამდე გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრა შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდების მითითებით, რაც აისახა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში. აღნიშნული დადგენილებით, გარანტირებული რეზერვის წყაროს სტატუსი 2011 წლის 1 სექტემბრამდე მიეცა შპს „მტკვარი-ენერჯეტიკას“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციას“ (თბილსრესი) და სს „ენერჯი ინვესტის“.

კომისიამ შპს „მტკვარი-ენერჯეტიკას“ გარანტირებული სიმძლავრის საფასური და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფები დაუდგინა მათ მიერ კომისიაში წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის საფუძველზე, ხოლო შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ და სს „ენერჯი ინვესტის“ ტარიფის განხილვისას კომისიამ იხელმძღვანელა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც აძლევს უფლებას კომისიას საკუთარი ინიციატივით გადახედოს ტარიფებს.

**5. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №16 დადგენილება.**

2010 წლის 12 აგვისტოს №13 დადგენილებით კომისიამ დაამტკიცა თბოელექტროსადგურები – შპს „მტკვარი-ენერჯეტიკის“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ (თბილსრესი) და სს „ენერჯი ინვესტის“ – ახალი ტარიფები. ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებით 2011 წლის 1 სექტემბრამდე შპს „საქართველოს

საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის” (თბილსრესი) №3 და №4 ბლოკები ცალ-ცალკე განისაზღვრა გარანტირებული რეზერვის წყაროდ, კომისიამ „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის” სატარიფო განაცხადის განხილვის შემდეგ შემოაღნიშნული ბლოკებისათვის დაამტკიცა გარანტირებული სიმძლავრის საფასურები და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფები.


6. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 1 დეკემბრის №28 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების მიღების საფუძველი გახდა შპს „ჯიფაუერის“ მიერ სს „ენერჯი ინვესტის“ საკუთრებაში არსებული აირტურბინული ელექტროსადგურის აქტივების შესყიდვა. შპს „ჯიფაუერმა“ კომისიაში წარმოადგინა წერილი, რომლითაც ითხოვდა შემოაღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რითაც 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში „სს „ენერჯი ინვესტი“-ს ნაცვლად მიეთითა „შპს „ჯიფაუერი“.

2010 წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა ელექტროენერჯის განაწილების კომპანიების განაწილების ქსელზე მიერთებული საყოფაცხოვრებო (მოსახლეობის) მომხმარებლებისთვის მოხმარების ტარიფები. იგი საშუალოდ შეადგენს 13.56 თ/კვტ დღ-ს გარეშე:

სამომხმარებლო ტარიფის (13,56 თეთრი/კვტსთ დღ-ის გარეშე) სტრუქტურა



საქართველოში და უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში ელექტროენერჯიაზე მოქმედი სამომხმარებლო ტარიფების დონეთა შედარება მოცემულია მე-2 დანართში.

## ბ) ბუნებრივი გაზი

2010 წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის სექტორში მიწოდების ტარიფების დონე საყოფაცხოვრებო (მოსახლეობა) მომხმარებლებისთვის კვლავ უცვლელი დარჩა, რაც განპირობებული იქნა შ.პ.ს. „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციასა“ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის „ნავთობის სახელმწიფო კომპანიას“ შორის 2008 წლის 14 დეკემბერს გაფორმებულ „ბუნებრივი აირის მიწოდების“ ხელშეკრულებაში მოცემული, სოციალური ბუნებრივი გაზის მიწოდების მოცულობებით, ფასებით და ვადებით. არასაყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფები კვლავ დერეგულირებულია „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების საფუძველზე და, შესაბამისად, საანგარიშო წელს საბითუმო მიწოდების ტარიფების დონე საცალო მიწოდებლებისა და პირდაპირი მომხმარებლებისთვის მერყეობდა 220-230 აშშ დოლარის ფარგლებში დღე-ს გარეშე, ანგარიშსწორების მომენტისათვის არსებული კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში. მოსახლეობისთვის მიწოდების ტარიფების სტაბილურობიდან გამომდინარე, შესაბამისად, 2010 წლის განმავლობაში ძირითადად უცვლელი დარჩა გაზგამანაწილებელი კომპანიების ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელზე მიერთებული საყოფაცხოვრებო (მოსახლეობის) მომხმარებლებისთვის მოხმარების ტარიფებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სამომხმარებლო ტარიფის საშუალო დონე კვლავ მნიშვნელოვნად დაბალია აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქმედ ტარიფებთან შედარებით, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ბუნებრივი გაზის რესურსები (იხ. დანართი №3).

ასევე, უცვლელი დარჩა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ტარიფები და შესაბამისად სამომხმარებლო ტარიფები, რომლის მინიმალური დონე შეადგენს დღე-ს გარეშე 38,136 თეთრს ერთ კუბ. მეტრზე, ხოლო მაქსიმალური – 46,644 თეთრს ერთ კუბ. მეტრზე.

საანგარიშო წელს ზოგიერთი გაზგამანაწილებელი ლიცენზიატებისგან განაწილების და, შესაბამისად, მოხმარების ტარიფების ცვლილების მოთხოვნით კომისიაში იქნა შემოტანილი 4 სატარიფო განაცხადი, ხოლო ახალი ლიცენზიატებისთვის ტარიფის დადგენის მოთხოვნით 2 სატარიფო განაცხადი.

კერძოდ, ტარიფების ცვლილების მოთხოვნით განაცხადები შემოტანილ იქნა შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“, სს „საჩხერეგაზის“, შპს „თერჯოლის ბუნებრივი აირის“ და სს „ზუგდიდგაზის“ მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იყო სათანადოდ დასაბუთებული ტარიფების ცვლილების აუცილებლობა, კომისიის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებულ შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“, სს „საჩხერეგაზის“, შპს „თერჯოლის ბუნებრივი აირის“ მოთხოვნები. რაც შეეხება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სატარიფო განაცხადს, რომელიც შემოტანილი იყო ჯერ კიდევ 2009 წელს, კომპანიის გასული წლების ფაქტობრივი საქმიანობის ანალიზის პროცესში, კომისიის მიერ მოთხოვნილ იქნა დამატებითი ინფორმაციები, რაც მათი მხრიდან არ წარმოდგენილა. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სატარიფო განაცხადის ადმინისტრაციული წარმოება კომისიას არ განუახლებია.

2010 წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის სექტორში კომისიის მიერ მიღებულ იქნა 8 დადგენილება, რომლებითაც შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. მათ შორის:

1. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 18 თებერვლის №1 დადგენილება. კომისიაში შემოვიდა სს „ზუგდიდგაზის“ სატარიფო განაცხადი, რომლის საფუძველზეც, სს „ზუგდიდგაზს“ შეეცვალა ბუნებრივი გაზის ტარიფები.

2. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 18 მარტის №5 დადგენილება. კომისიის 2010 წლის 19 თებერვლის №2/1 გადაწყვეტილებით, შპს „თერჯოლის ბუნებრივ აირზე“ გაცემულ იქნა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, რომელიც ჩაენაცვლა სს „თერჯოლაგაზს“. შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში და ტარიფები დაუმტკიცდა შპს „თერჯოლის ბუნებრივ აირს“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ტარიფები დარჩა უცვლელი.

3. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 24 ივნისის №8 დადგენილება. კომისიის 2010 წლის 18 მარტის №5/1 გადაწყვეტილებით, შპს „სახალხო ექსპრეს სერვისზე“ გაცემულ იქნა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, რომელსაც, სატარიფო განაცხადის საფუძველზე, აღნიშნული დადგენილებით დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის ტარიფები.

4. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 22 ივლისის №10 დადგენილება. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ივნისის №773 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ შორის 2010 წლის 25 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისის და ფონიჭალის გაზგამანაწილებელი ქსელები იჯარით გადაეცა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“. აღნიშნულ სოფლებზე გაზმომარაგებას ახორციელებდა შპს „იბერია 2004“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2010 წლის 1 ივლისის №13/1 გადაწყვეტილებით, გაუქმდა შპს „იბერია 2004“-ის ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, ხოლო შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ლიცენზიაში შეტანილ იქნა ცვლილება და მისი ლიცენზიის არეალში არსებულ გაზგამანაწილებელ ქსელს დაემატა სოფ. კრწანისში და ფონიჭალაში არსებული გაზგამანაწილებელი ქსელები. შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილების მე-4 მუხლში მოცემული ცხრილიდან ამოღებულ იქნა 50-ე პუნქტი, რომლითაც დადგენილი იყო შპს „იბერია 2004“-ის მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ტარიფები.

5. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №15 დადგენილება. კომისიის 2010 წლის 10 ივნისის №11/1 გადაწყვეტილებით, შპს „ნტმ“-ზე გაცემულ იქნა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, რომელსაც, სატარიფო განაცხადის საფუძველზე, აღნიშნული დადგენილებით დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის ტარიფები.

ამავე დადგენილებით ასევე ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილების მე-4 მუხლში მოცემული ცხრილიდან ამოღებულ იქნა 26-ე პუნქტი, რომლითაც დადგენილი იყო შპს „ბრეთიგაზის“ მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ტარიფები. შპს „ბრეთიგაზის“ გაზგამანაწილებელი ქსელები იჯარით გადაეცა სს „გორიგაზს“ და შესაბამისად შპს „ბრეთიგაზის“ მომხმარებლების გაზმომარაგებას განახორციელებს სს „გორიგაზი“ მისთვის დადგენილი ტარიფებით.

6. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 2 სექტემბრის №20 დადგენილება. კომისიის 2010 წლის 29 ივლისის №17/1 გადაწყვეტილებით, სს „გორიგაზის“ ლიცენზიაში შეტანილ იქნა ცვლილება და მისი ლიცენზიის არეალში არსებულ გაზგამანაწილებელ ქსელს დაემატა (საკუთრებაში გადაეცა) შპს „აირის“ მფლობელობაში არსებული გაზგამანაწილებელი ქსელები. შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილების მე-4 მუხლში მოცემული ცხრილიდან ამოღებულ იქნა 21-ე პუნქტი, რომლითაც დადგენილი იყო შპს „აირის“ მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ტარიფები. აღნიშნული სოფლების მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება-განაწილებას განახორციელებს სს „გორიგაზი“ მისთვის დადგენილი ტარიფებით.

7. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №29 დადგენილება. შპს „დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის“ გაზგამანაწილებელი ქსელები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში იყო, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №1405 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2010 წლის 11 ნოემბრის №26/1 გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, ხოლო შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ლიცენზიაში შეტანილ იქნა ცვლილება და მისი ლიცენზიის არეალში არსებულ გაზგამანაწილებელ ქსელს დაემატა სოფ. წავკისში არსებული გაზგამანაწილებელი ქსელები.

ამასთან, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის გათვალისწინებით, შპს „დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის“ მომხმარებლებისათვის ძალაში დარჩა მანამდე მოქმედი ტარიფები. შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილების მე-4 მუხლის პირველ პუნქტს (შპს

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ტარიფებს) ცალკე ქვეპუნქტად დაემატა ყოფილი შპს „დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის“ მომხმარებლების ტარიფები. ამასთან, ცხრილიდან ამოღებულ იქნა 53-ე პუნქტი, რომლითაც განსაზღვრული იყო შპს „დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის“ ტარიფები.

8. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2010 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილება. „საქართველოს რეგიონების ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფისა და შესაბამის დარგში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 25 დეკემბრის №888 განკარგულების საფუძველზე შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ შეისყიდა 22 გაზგამანაწილებელი კომპანიის აქციები. ამ კომპანიების ბაზაზე შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ დააფუძნა შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-სამეგრელო“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-გურია“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთი“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი იმერეთი“, რომლებზეც კომისიის 2010 წლის 23 დეკემბრის №23/1, 23/2, 23/3 და 23/4 გადაწყვეტილებებით გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიები. ამასთან, აღნიშნული ლიცენზიატების თხოვნით, ახალი სატარიფო განაცხადების წარმოდგენამდე, ძალაში დარჩა ბუნებრივი გაზის არსებული ტარიფები. შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. კერძოდ: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-სამეგრელო“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-გურია“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთს“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი იმერეთს“ ტარიფები დაუმტკიცდათ მათ არეალში შემაგალი ყოფილი გაზგამანაწილებელი ლიცენზიატების მიხედვით.

**გ) წყალმომარაგება**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 20 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით კომისიას დაეკისრა სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირება.

2010 წელს კომისიაში შემოვიდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სატარიფო განაცხადები, რომლითაც ითხოვდნენ წყალმომარაგების ზღვრული ტარიფების დადგენას:

კომისიამ დადგენილი წესით განიხილა ზემოაღნიშნული განაცხადები და მიიღო შესაბამისი დადგენილებები:

1. „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (გარდა ფოთის თვითმმართველი ერთეულის) მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით განისაზღვრა წყალმომარაგების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფები, მათ შორის სასმელი წყლის მიწოდებასა და წყალარინებაზე, კერძოდ:

- ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,23 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
  - ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 0,17 ლარი/მ<sup>3</sup>;
  - ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,06 ლარი/მ<sup>3</sup>;

- ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 2,03 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:
  - ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 1,50 ლარი/სულზე/თვეში;
  - ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,53 ლარი/სულზე/თვეში;

- გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 3,65 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
  - გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2,86 ლარი/მ<sup>3</sup>;
  - გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,79 ლარი/მ<sup>3</sup>.

2. „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლი 17 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კომისიის 2010 წლის 24 ნოემბრის №27 დადგენილებით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით განისაზღვრა წყალმომარაგების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფები, მათ შორის სასმელი წყლის მიწოდებასა და წყალარინებაზე, კერძოდ:

- ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,225 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
  - ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 0, 191ლარი/მ<sup>3</sup>;
  - ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,034 ლარი/მ<sup>3</sup>;

- ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 2,667 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:
  - ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2,259 ლარი/სულზე/თვეში;
  - ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,408 ლარი/სულზე/თვეში;

- გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი - 3,729 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
  - გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2,966 ლარი/მ<sup>3</sup>;
  - გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0, 763 ლარი/მ<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნული დადგენილებებით განსაზღვრული ყველა ტარიფი გაანგარიშებულია დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე, ხოლო დღგ-ს დარიცხვა წარმოებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 2. ლიცენზირება და სალიცენზიო პირობების კონტროლი

### *ა) ელექტროენერგეტიკა*

კომისიამ ჯერ კიდევ 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დაამტკიცა „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“ და „ლიცენზირების წესები“. პირველი მათგანი ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ისეთ საქმიანობას, რომელიც შესაბამისი კანონის საფუძველზე არ წარმოადგენს ლიცენზირებად საქმიანობას, და განსაზღვრავს აღნიშნულ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს, ხოლო მეორე – იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიის მაძიებელი და ლიცენზიის მფლობელი მეწარმე სუბიექტისათვის.

საქართველოში ელექტროენერგეტიკულ სექტორში 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფუნქციონირებენ შემდეგი ლიცენზიატები (იხ. დანართი 4):

- წარმოების – 13;
- განაწილების – 3;
- გადაცემის – 3;
- დისპეტჩერიზაციის – 1

საანგარიშო წელს კომისიის მიერ ლიცენზირებასთან დაკავშირებით მომზადდა შემდეგი გადაწყვეტილებები: - შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე“ (თბილსრესი) ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ (გად. №4/2 11.03.2010წ.), სს „კახეთის ენერგოინჟინერინგის“ სალიცენზიო არეალში არსებული დასახლებული პუნქტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების გეგმის დამტკიცების შესახებ (გად. №9/8 29.04.2010წ.), შპს „ენერგოტრანსზე“ ელექტროენერჯის გადაცემის წინასწარი ლიცენზიის გაცემის შესახებ“ (გად. №26/2 11.11.2010 წ.), სს „ენერჯი ინვესტის“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „ჯიფაუერზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ (გად. №28/1 25.11.2010წ.).

2010 წლის 23 თებერვალს სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველსა და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ შორის გაფორმდა ოქმი სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შედეგების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ოქმის 2.2. პუნქტის თანახმად, სს „თბილსრესის“ ქონება მფლობელობაში და სარგებლობაში გადაეცა მყიდველს – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ კომისიაში შემოიტანა განაცხადი ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მიღების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ 2010 წლის 11 მარტის №4/2



გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე“ (თბილსრესი) გასცა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №078, სერიით 11.

2009 წლის 15 ოქტომბერს კომისიამ მიიღო №17 დადგენილება „სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საერთო მრიცხველის მქონე საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების მე-4 პუნქტის თანახმად, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ დაევალოს სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ სალიცენზიო არეალში არსებული დასახლებული პუნქტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების გეგმის წარმოდგენა კომისიაში დასამტკიცებლად. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ“ ზემოაღნიშნული გეგმა კომისიაში წარმოადგინა 2010 წლის 14 აპრილს.

კომისიამ 2010 წლის 29 აპრილის №9/8 გადაწყვეტილებით დაამტკიცა „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ სალიცენზიო არეალში არსებული დასახლებული პუნქტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით გამრიცხველიანება დასრულდება 2013 წლის 1 ივლისს.

შპს „ენერგოტრანსზე“ ელექტროენერჯის გადაცემის წინასწარი ლიცენზიის გაცემა მოთხოვნილ იქნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული „შავი ზღვის გადამცემი სისტემის“ პროექტის განხორციელების პირობით, რომელიც ითვალისწინებს ქ/ს „გარდაბანსა“ და ქ/ს „ზესტაფონს“ შორის, ასევე თურქეთის ელექტროენერგეტიკულ ქსელთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაციას, ახალციხეში ახალი ქვესადგურის მშენებლობას, ქვესადგურების „გარდაბნისა“ და „ზესტაფონის“ მოდერნიზაციას, ახალციხეში ასაშენებელ ქვესადგურში ორი მუდმივი დენის ჩანართის მოწყობას (დანართი 5).

კომისიის მიერ 2010 წლის 11 ნოემბრის №26/2 გადაწყვეტილებით შპს „ენერგოტრანსზე“ გაიცა ელექტროენერჯის გადაცემის წინასწარი ლიცენზია (№006, სერია 12), შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობებით:

- ზესტაფონი-ახალციხე-საქართველო/თურქეთის საზღვრის მიმართულების ელექტროგადამცემი ხაზები მზად იქნება ექსპლუატაციისათვის (ელექტროენერჯის გადაცემისათვის) – არაუგვიანეს 2012 წლის 1 ივნისამდე.

- გარდაბანი-ახალციხის მიმართულების ელექტროგადამცემი ხაზი მზად იქნება ექსპლუატაციისათვის (ელექტროენერჯის გადაცემისათვის) – არა უგვიანეს 2012 წლის პირველ სექტემბრამდე.

კომისიამ 2010 წლის 25 ნოემბერს განიხილა სს „ენერჯი ინვესტის“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „ჯიფაუერზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის საკითხი.

კომისიაში ერთდროულად წარმოდგენილ იქნა სს „ენერჯი ინვესტისა“ და შპს „ჯიფაუერის“ წერილები, რომელთა თანახმადაც სს „ენერჯი ინვესტმა“ მოითხოვა ყიდვა-გაყიდვის დასრულების მომენტიდან მის სახელზე არსებული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზის გაუქმება, ხოლო შპს „ჯიფაუერმა“ -ამავე წარმოების საშუალებაზე ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემა. კომისიამ სს „ენერჯი ინვესტისა“ და შპს „ჯიფაუერის“ მოთხოვნები დააკმაყოფილა, გააუქმა სს „ენერჯი ინვესტზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია №067, სერიით 11 და ამავე წარმოების საშუალებაზე შპს „ჯიფაუერის“ სახელზე გასცა ახალი წარმოების ლიცენზია №079, სერიით 11.

## სალიცენზიო პირობების დაცვის კონტროლი – მონიტორინგი

ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი ემყარება კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დაამტკიცებულ „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესებსა“ და „ლიცენზირების წესებს“, აგრეთვე კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დაამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებს“.

2009 წლის 24 სექტემბერს განხორციელდა ელექტროენერგეტიკის სექტორში საქმიანობა-მომსახურების და სალიცენზიო პირობების დაცვის ანგარიშგების კვარტალური და წლიური ფორმების შემუშავება. ფორმები დამტკიცდა კომისიის გადაწყვეტილებებით.

აღნიშნული ფორმები შეიცავენ დეტალურ ინფორმაციას ლიცენზიატებისა და ბაზრის სხვა სუბიექტების საქმიანობის, ასევე მათ მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების მდგომარეობის, უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დაცვის, ავარიებისა და უბედური შემთხვევების შესახებ.

ანგარიშგების წლიური ფორმების წარმოდგენა კომისიის რეგულირების სფეროში შემავალ სუბიექტებს ევალუბათ შემდგომი წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე, ხოლო კვარტალური ანგარიშგების ფორმების – საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის ბოლომდე.

საანგარიშო წელს წლიური ანგარიშგების წარმოდგენასთან დაკავშირებით იყო მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის სუბიექტების მიერ დროულად არ იქნა წარმოდგენილი ანგარიშგება, ხოლო წარმოდგენილი ანგარიშები არ მოიცავდა სრულ ინფორმაციას, ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშები არ იყო დამოწმებული შესაბამისი წესით, შეიცავდა არასწორ ინფორმაციას და ა.შ.. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2010 წელს მოეწყო საშუალო შეხვედრები ანგარიშგების ფორმების შევსების წესთან და მათში არსებული ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით.

## სალიცენზიო პირობების დარღვევები და გატარებული ღონისძიებები

კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლიცენზიატი ვალდებულია, სალიცენზიო პირობებიდან გამომდინარე და ამ პირობების შესრულების მიზნით, საქმიანობა წარმართოს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტების, მათ შორის, კომისიის მიერ მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მიხედვით. სალიცენზიო პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიატი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს კომისიის მოთხოვნების სათანადოდ შესრულება.

2010 საანგარიშო წელს ლიცენზიის პირობების დარღვევისათვის კომისიის მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- 2010 წლის 25 მარტის №6/2 გადაწყვეტილებით კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობა სს „თელასის“ მიერ მიჩნეულ იქნა ლიცენზირების პირობების დარღვევად და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

- 2010 წლის 01 აპრილის №7/1 გადაწყვეტილებით „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 2008 წლის 25 იანვრის №1/1 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სატარიფო განაცხადის დაგვიანებით და არასრულყოფილად წარმოდგენა მიჩნეულ იქნა ლიცენზირების პირობების შეუსრულებლობად (დარღვევად) და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

- 2010 წლის 19 აგვისტოს 18/1 გადაწყვეტილებით სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამკვიცბული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მოთხოვნების დარღვევა მიჩნეულ იქნა ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობად (დარღვევად) და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

- 2010 წლის 26 აგვისტოს 19/5 გადაწყვეტილებით სს „თელასს“ ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობის გამო დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

- 2010 წლის 16 სექტემბრის 21/3 გადაწყვეტილებით - კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებულ „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესების“ შესრულების მიზნით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კომისიის 2010 წლის 15 ივლისის №1/02-4/99-1343 წერილის მოთხოვნათა შესრულების – წლიური ანგარიშგების წარმოდგენის უზრუნველყოფის მიზნით შპს „სულორჰესს“ დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

- 2010 წლის 28 ოქტომბრის 25/3 გადაწყვეტილებით შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ ქმედება, რეგულირების საფასურის გადაუხდელობა მიჩნეულ იქნა ლიცენზირების პირობების დარღვევად და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

- 2010 წლის 28 ოქტომბრის 25/4 გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ საქმიანობის ლიცენზირებად ნაწილში მისი ქმედება, რეგულირების საფასურის გადაუხდელობა მიჩნეულ იქნა ლიცენზირების პირობების დარღვევად და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, ხოლო მისი საქმიანობის დერეგულირებულ ნაწილში, რეგულირების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით მასვე დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

- 2010 წლის 28 ოქტომბრის №25/14, №25/15 და №25/16 გადაწყვეტილებებით რეგულირების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით 5000-5000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრათ შპს „ჟინერს“, „ბაკურს“ და შპს „ენერჯია 1“-ს

- 2010 წლის 30 დეკემბრის №33/1 გადაწყვეტილებით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მიჩნეულ იქნა სალიცენზიო პირობების დარღვევად და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

## სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა

კომისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ლიცენზიატებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, აგრეთვე სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. დავების გადაწყვეტის პროცედურა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, „ლიცენზიატებს, ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვის პროცედურული

წესების დამტკიცების შესახებ” კომისიის 2000 წლის 6 აპრილის №4 დადგენილებით, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების” დამტკიცების შესახებ 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ელექტროენერჯეტიკის სფეროში 2010 წელს კომისიაში განხილული და გადაწყვეტილი იქნა შემდეგი სახის დავები:

- განაწილების ლიცენზიატებსა და საცალო მომხმარებლებს შორის;
- განაწილების ლიცენზიატებსა და განაწილების ქსელის ფრაგმენტების მფლობელ იურიდიულ პირებს შორის;
- საცალო მომხმარებლებსა და სხვა კვალიფიციურ საწარმოებს შორის;
- წარმოების, გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატებს შორის.

კომისიაში შემოსული საჩივრებიდან, რომლებიც ეხება ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილ სადავო საკითხებს, აღსანიშნავია დავები შპს „ალბასა“ და სს „თელასს“ შორის, დიდ დილომში უსახელო ქუჩის მაცხოვრებლებსა და სს „თელასს“ შორის, ი/მ „თემურ კურტანიძესა“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის, მოქალაქე მ. ქავთარაძესა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის, ასევე სს „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და შპს „ბაკურს“ შორის, „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და შპს „კომუნალსერვისს“ შორის და სხვა დავები. სადავო საკითხების დარეგულირებას ართულებდა დაინტერესებული მხარეების მიერ შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია.

აღნიშნული საკითხების განხილვა ხდებოდა სამუშაო შეხვედრებზე მოდავე მხარეების, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისა და კომისიის აპარატის თანამშრომელთა მონაწილეობით. რადგან ზოგიერთი დავა აღნიშნული პროცედურებით არ იქნა ამოწურული, მომზადდა საკითხები კომისიის სხდომაზე განსახილველად და მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიაში შემოსული საჩივრების განხილვისას აღმოჩნდა, რომ სადავო საკითხების დიდი ნაწილი ეხებოდა მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის სამართლიანობას, აღრიცხვის კანძის (მრიცხველის, დენის ტრანსფორმატორისა და აღრიცხვის წრედების) შემოწმების (ადგილზე ან ლიცენზიატების ლაბორატორიებში) აქტების საფუძველზე ელექტროენერჯის დარიცხვას, ელექტროენერჯის დატაცებას. ამ შემთხვევაში ლიცენზიატები, როგორც წესი, უხეშად არღვევდნენ „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონს, სსიპ „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მიღებულ წესსა და საექსპერტო (ოფიციალური) გაზომვების ორგანიზების შესახებ მოთხოვნებს. აღნიშნული დარღვევების შესახებ მიეთითათ ლიცენზიატებს სამუშაო შეხვედრებზე ან ეცნობათ წერილობით, ხოლო რიგ შემთხვევებში სადავო საკითხები განიხილა კომისიამ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2010 წელს კომისიაში ელექტროენერჯეტიკის სფეროში დავებთან დაკავშირებით შემოვიდა 394 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან 339 დასრულდა მორიგებით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე კომისიის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სადაო საკითხების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ელექტროენერჯის განაწილების კომპანიები ძირითადად იმეორებენ იმავე სახის დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წინა წლების განმავლობაში, კერძოდ:

1. საერთო მრიცხველთან დაკავშირებული პრობლემები (მრიცხველებისა და დენის ტრანსფორმატორების გაუმართავი მუშაობა), საერთო მრიცხველით აბონენტებზე დარიცხული თანხების საფუძვლიანობა და სამართლიანობა.
2. საერთო მრიცხველზე მიერთებულ ელექტროენერჯის ყველა მომხმარებლის გათიშვა რამოდენიმე აბონენტის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო.
3. აბონენტის მიერ ელექტროენერჯის უკანონოდ მოხმარების დროს განაწილების კომპანიის მიერ დადგენილი წესების დარღვევით შესაბამისი აქტებისა და ოქმების შედგენა და დატაცებული ელექტროენერჯის ოქმის (აქტის) არასათანადო მონაცემების გამოყენებით გაანგარიშებული რაოდენობის შეუსაბამობა რეალურთან.
4. მომხმარებელთა განცხადებებზე პასუხის გაუცემლობა ან განხილვის ვადების გაჭიანურება.

აღნიშნული საკითხების გარდა 2010 წელს დაემატა შემდეგი სახის დავები:

1. იძულებით გადაადგილებულ პირებზე ძველი დავალიანების აღიარებისა და გადანაწილების შესახებ.
2. ინდივიდუალური მრიცხველის მიერ დაუდგენელი მიზეზების გამო, მცირე პერიოდში (14-20 დღე) საყოფაცხოვრებო და მცირე დატვირთვების მქონე არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის შეუსაბამოდ დიდი ოდენობით ელექტროენერჯის აღრიცხვის დაფიქსირება და განაწილების კომპანიის მიერ აბონენტისაგან მოთხოვნილი გადასახადის სამართლიანობის შესახებ.
3. აბონენტთა მოთხოვნის მიუხედავად, განაწილების კომპანიის მიერ უარის თქმა საერთო მრიცხველის შემდეგ არსებული გაუმართავი ქსელის მოწესრიგებასა და ელექტროენერჯის დატაცების ფაქტების იგნორირებაზე.
4. განაწილების ლიცენზიატის მიერ ახალი მომხმარებლის რეგისტრაციას დროს წარმოშობილი პრობლემების შესახებ.
5. განაწილების კომპანიის კატეგორიული მოთხოვნა ახალი აბონენტის რეგისტრაციის დროს მხოლოდ მის საკუთრებაში არსებულ ქსელზე მიერთების აუცილებლობის შესახებ.
6. განაწილების კომპანიას და მომხმარებელს შორის, როდესაც ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატი არ ითვალისწინებს ელექტრონული მრიცხველების დაზიანების დროს მრიცხველის ინდიკაციის საშუალებებით მოწოდებულ ინფორმაციებს.
7. განაწილების კომპანიებს და იურიდიული პირებს (რომლებიც ფლობენ ელექტროენერჯის წარმოების საკუთარ საშუალებებს) შორის, როდესაც განაწილების ლიცენზიატიდან მოთხოვნილია გატარების მომსახურება.

აღნიშნული და სხვა სადავო საკითხების დარეგულირების პროცესში გამოვლინდა საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებები და შეუსაბამობები, რის გამოც კომისია ამზადებს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებსა“ და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ შესატან ცვლილებების პროექტებს.

## ბ) ბუნებრივი გაზი

2010 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების 9 ლიცენზია (დანართი 6).

წარმოდგენილი განაცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ერთ კომპანიას უარი ეთქვა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მიღებაზე.

7 კომპანიის ლიცენზიაში შეტანილი იქნა ცვლილება (დანართი 7).

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში მსხვილი და მცირე ბუნებრივი გაზის 57 გამანაწილებელი კომპანიაა, მათ შორის უმსხვილესია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი მხოლოდ ერთია – შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“. სულ გაზის სფეროში მოქმედებაშია 58 ლიცენზია (დანართი 8).

ბუნებრივი გაზის მიწოდება დერეგულირებულია და 2005 წლიდან მიწოდების ლიცენზია აღარ გაიცემა. ამჟამად გაზის ბაზარზე ძირითადი მომწოდებლებია სს „იტერა საქართველო“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, შპს „სოკარ გაზ სუფლაი“, შპს „გაზექსპორტი“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ და შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“.

## სალიცენზიო პირობების დაცვის კონტროლი – მონიტორინგი

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბუნებრივი გაზის ლიცენზიატების რეგულირების სფეროში შედის მათი მუდმივი მონიტორინგი. კომისია სისტემატიურად აწარმოებს ლიცენზიატებისაგან ინფორმაციის მიღებას მათ მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ისინი ყოველწლიურად წარადგენენ კომისიაში წლიურ ანგარიშს (როგორც ტექნიკურს, ასევე ფინანსურს), რის მიხედვითაც კომისია ამზადებს სათანადო დასკვნებს.

2010 წლის 27, 28 და 29 ივლისს კომისიაში გაზის კომპანიებს ჩაუტარდათ ტრენინგი. განხილული იქნა კომისიის 2009 წლის 24 სექტემბრის №15/4, №15/5 და №15/6 გადაწყვეტილებებით დამტკიცებული წლიური ანგარიშგების ფორმები. ასევე განხილული იქნა კომისიის 2009 წლის 24 სექტემბრის №15/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბუნებრივი გაზით მომარაგებისა და მომსახურების ერთიანი რეესტრისა და ჟურნალების ფორმები.

კომისიის 2010 წლის 25 თებერვლის №3/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული იქნა ბუნებრივი გაზის განაწილების სალიცენზიო მოწმობის – „სალიცენზიო პირობები“, რომლითაც განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ განაწილების ლიცენზიატებმა.

გაზის გამანაწილებელ სისტემებში საკმაოდ დიდია ბუნებრივი გაზის დანაკარგები. ეს დანაკარგი შედგება ტექნიკური (ტექნოლოგიური და ავარიები) და კომერციული დანაკარგებისაგან. ტექნიკური დანაკარგების გამოძვევევი მიზეზები შემდეგია:

- საქართველოს გაზის გამანაწილებელ თითქმის ყველა კომპანიაში გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. კერძოდ, კოროზიისაგან ელექტროქიმიური დაცვის დანადგარები გაძარცვულია და არ მუშაობს;

- საამორტიზაციო ვადა – 40 წელი გაუვიდა ასობით კილომეტრ გაზსადენს და მოითხოვს შეცვლას;
- გაიზარდა ავარიების რაოდენობა, ხოლო ქსელის აღდგენა დროულად არ წარმოებს. ამის მიზეზად გაზგამანაწილებელი ლიცენზიატები ასახელებენ მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, მიწებისა და მარაგნაწილების სიმცირეს და შესაბამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობას;
- ხშირად მოუწესრიგებელია გაზის აღრიცხვა და აბონენტებთან ანგარიშსწორების მექანიზმი.

გაზსადენებში დანაკარგების სიდიდე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე – გაზის წნევაზე, გაზსადენის დიამეტრსა და სიგრძეზე, მის ტექნიკურ მდგომარეობაზე, გაზმარეგულირებელი პუნქტების რაოდენობაზე და ა.შ.

გაზსადენებში დანაკარგების აბსოლუტური სიდიდე მეტნაკლებად სტაბილური სიდიდეა და არ არის დამოკიდებული გატარებული გაზის რაოდენობაზე. ასე მაგალითად, ღამის საათებში, როდესაც მოხმარება მინიმალურია, დანაკარგები კი არ მცირდება, არამედ პირიქით, იზრდება.

საქართველოში არ არსებობდა ნორმატიული დოკუმენტი (მეთოდოლოგია), რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში გაზის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშება.

კომისია რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე: ანალიზი გაუკეთდა შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებულ ტექნიკურ ლიტერატურას. დამუშავებულ იქნა სხვა ქვეყნების ნორმატიული მეთოდოლოგიები, რამაც ცხადყო, რომ ამ მეთოდოლოგიების გამოყენება საქართველოს გაზგამანაწილებელი ქსელებისათვის მიუღებელი იყო, ვინაიდან მათ მიხედვით გამოანგარიშებული ნორმატიული ტექნიკური დანაკარგი ძალზე დიდი იყო და გონივრულ ზღვრებს აჭარბებდა. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიები შექმნილია სრულად (საპროექტო სიმძლავრით) დატვირთული გაზგამანაწილებელი ქსელებისათვის, რომელთა წლიური მოხმარება საკმაოდ დიდია.

საკითხის შემდგომი კვლევა დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური დანაკარგი აშშ-ში ნულიდან ერთ პროცენტამდეა. მოპოვებული ინფორმაცია გაზგამანაწილებელი მეურნეობის ტექნოლოგიური დანაკარგების შესახებ შემდეგია: ესტონეთი: მოხმარებული გაზის 1,1%; რუმინეთი მოხმარებული გაზის 1÷2%; აზერბაიჯანი: მოხმარებული გაზის 2÷3%; სომხეთი: მოხმარებული გაზის 3÷4%, ლიტვა: მოხმარებული გაზის 0,5÷0,7%; ლატვია: მოხმარებული გაზის 2,3%; პოლონეთი: პოლიეთილენისა და ფოლადის მიწებში – მოხმარებული გაზის 2%, რკინის მიწებში – მოხმარებული გაზის 3%. ამგვარად, მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები მეტყველებენ, რომ დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკაში – ტექნიკური დანაკარგის ნორმა დადგენილია პროცენტებში, რაც ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ხელსაყრელია მცირე მოხმარების გაზის კომპანიებისათვის.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შემუშავდა და კომისიამ 2010 წლის 18 ნოემბრის №26 დადგენილებით დაამტკიცა „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების ოდენობის გაანგარიშების წესი“, რომელიც ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს, საექსპერტო შეფასებებს და გაზოდინამიკის პოსტულატებს.

გაანგარიშების წესში მოყვანილი საანგარიშო ფორმულების დადგენის მეთოდი რეცენზიისათვის დაგზავნილი იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში,

საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკული ნაგებობების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს საინჟინრო აკადემიასა და საქართველოს ენერგეტიკის აკადემიაში. ყველა ამ ორგანიზაციიდან მიღებული იქნა დადებითი დასკვნა.

გაზის სექტორში ასევე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა არსებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის რეგულირების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა მუშა შეხვედრები სხვადასხვა საწარმოებთან და კომპანიებთან. შემუშავდა და კომისიის 2010 წლის 18 მარტის №4, 2010 წლის 1 ოქტომბრის №21 და 2010 წლის 18 ნოემბრის №25 დადგენილებებით შევიდა ცვლილებები და დამატებები კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“.

### სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ლიცენზიატებს შორის, ასევე ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სადავო საკითხების გადაწყვეტისა და განხილვის წესების გაუმჯობესების მიზნით კომისიის მიერ 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესები“.

2010 წელს კომისიაში ბუნებრივი გაზის სფეროში დავებთან დაკავშირებით შემოვიდა 193 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან 148 დასრულდა მორიგებით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე კომისიის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიაში შემოსული მრავალი საჩივარი ეხებოდა გაზის მრიცხველებთან დაკავშირებულ პრობლემებს (მ.შ. მრიცხველის დაზიანებას, შეცვლას) დარიცხული თანხების სამართლიანობას, ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებას და ა.შ.

2010 წელს ზოგიერთი კომპანიის მიერ ადგილი ქონდა კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მოთხოვნათა შეუსრულებლობას, რის გამოც კომისიის მიერ 2010 წლის 16 სექტემბერს დაჯარიმებული იქნენ: სს „იტერა საქართველო“, სს „ზესტაფონიგაზი“, სს „ჭიათურგაზი“ შპს „ვანიგაზი“, შპს „ენერგია +“, შპს „ლიხაურგაზი“, შპს „ლ-ნ“, შპს „გასკო +“ და შპს „ორუჯევი და ჯანმრთელობა“ 5000-5000 ლარით, შესაბამისად №21/4, №21/5, №21/6, №21/7, №21/8, №21/9, №21/10, №21/11 და №21/13 გადაწყვეტილებებით, ხოლო შპს „აკრიანი - 2006“ 500 ლარით №21/12 გადაწყვეტილებით.

კომისიის 2010 წლის 13 ოქტომბრის № 24/1 გადაწყვეტილებით, შპს „ქართლიგაზის“ მიერ რეგულირების საფასურის სისტემატიური გადაუხდელობა



მიჩნეულ იქნა სალიცენზიო პირობების დარღვევად და მას ჯარიმის სახით დაეკისრა 5000 ლარი.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“, შპს „იაგანაშვილი – ორველაშვილის“, შპს „გაკეს“, სს „გორიგაზის“, შპს „ვოტროს“ და შპს „გაზმშენის“ მიერ რეგულირების საფასურის სისტემატიური გადაუხდელობა მიჩნეულ იქნა სალიცენზიო პირობების დარღვევად და აღნიშნულ საწარმოები დაჯარიმდნენ 5000-5000 ლარით, შესაბამისად კომისიის 2010 წლის 28 ოქტომბრის №25/5, №25/6, №25/7, №25/8, №25/9 და 25/10 გადაწყვეტილებებით.

კომისიის 2010 წლის 28 ოქტომბრის №25/11 და №25/12 გადაწყვეტილებებით, რეგულირების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, სს „იტერა საქართველო“ და შ.პ.ს. „ნასა+“ დაჯარიმდნენ 5000 ლარის ოდენობით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე.

2009 წელს ადგილი ქონდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ სალიცენზიო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას. მის მიერ არ ხდებოდა შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისაგან“ შესყიდული ბუნებრივი გაზის ღირებულების დროული და სრულად გადახდა, რაც თავის მხრივ რეალურ საშიშროებას უქმნიდა მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით უწყვეტ მომარაგებას. მდგომარეობის გამოსასწორებლად 2009 წელს კომისიის გადაწყვეტილების თანახმად სს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ დაინიშნა სპეციალური მმართველი. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სპეციალური მმართველის დანიშვნის შემდეგ სალიცენზიო პირობების სრულად შესრულება ვერ მოხერხდა. რათა თბილისის მომხმარებლებს არ შექმნოდათ ბუნებრივი გაზის მიწოდების რეალური საფრთხე, საჭირო იყო სპეციალური მმართველობის ერთი წლის ვადით გაგრძელება. კომისიის 2010 წლის 29 აპრილის №9/2 გადაწყვეტილებით თბილისის ბუნებრივი გაზით სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ კომისიის 2009 წლის 16 მარტის №3/1 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნა ცვლილება და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალური მმართველი დაინიშნა სალიცენზიო პირობების უწყვეტად შესრულების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2011 წლის პირველი მაისისა.

### 3. სამართლებრივი საქმიანობა

კომისიის ფუნქციაა დაახლოოს და დააბალანსოს არათანაბარ პირობებში მყოფი სამართალურთიერთობის ორი სუბიექტის, ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის მქონე საწარმოების, და, მეორე მხრივ, მომხმარებლის ინტერესები, რომელსაც არჩევანი არა აქვს და უნდა ისარგებლოს ასეთი საწარმოს მომსახურებით.

კომისიის საქმიანობის დროს გამოვლენილი სამართლებრივი უზუსტობების და ჩამოყალიბებული პრაქტიკის განზოგადოების შედეგად, სისტემატურად ხორციელდება არსებული ნორმატიული აქტების შესწავლა და მათში ცვლილებების შეტანა.

კომისიის მიერ 2010 წელს მიღებულ იქნა 31 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება, მათ შორის, მიღებული იქნა 3 ახალი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოქმედ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში შეტანილ იქნა 28 ცვლილება.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიის მიერ მიღებული იქნა 21 გადაწყვეტილება კომისიის კომპეტენციაში შემავალ სფეროში ლიცენზირებასთან დაკავშირებით (სალიცენზიო პირობების განსაზღვრა, ლიცენზიის გაცემა, ცვლილების შეტანა და გაუქმება) და 14 გადაწყვეტილება სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო ლიცენზიატების დაჯარიმების შესახებ, რის თანახმადაც, ლიცენზირების პირობების დამრღვევ საწარმოებს დაეკისრათ ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით (დაკისრებული ჯარიმის საერთო თანხამ შეადგინა 70 000 ლარი).

კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტზე კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ იმ საწარმოების მიმართ, ვინც არ არიან ლიცენზიატები, მაგრამ, მათ საქმიანობას ახორციელებენ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროში, 2010 წლის განმავლობაში შედგენილ იქნა 8 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, რომელთა საფუძველზეც ამ საწარმოებს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრათ ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით (დაკისრებული ჯარიმის საერთო თანხამ შეადგინა 40 000 ლარი).

კომისიის მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად იმ პირების მიმართ, ვინც არ არიან ლიცენზიატები, მაგრამ, მათ საქმიანობას ახორციელებენ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მიღებული იქნა გადაწყვეტილებები 17 საწარმოს დაჯარიმების შესახებ (დაკისრებული ჯარიმის საერთო თანხამ შეადგინა 80 500 ლარი).

2010 წლის განმავლობაში კომისიას მის კომპეტენციის სფეროში არსებულ საწარმოებს შორის განხილული და გადაწყვეტილ იქნა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის პროექტზე ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიმართ ქსელთან დაშვების თაობაზე.

საჯარო სხდომებზე განხილულ იქნა მომხმარებელთა სხვადასხვა სახის პრეტენზიები ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე სასმელი წყლის მიმწოდებელი საწარმოების მიმართ.

მომხმარებლების პრეტენზიებზე 2010 წლის განმავლობაში მიღებული იქნა 71 გადაწყვეტილება. მათ შორის არ დაკმაყოფილდა მხოლოდ 4 მომხმარებლის მოთხოვნა.

სულ, 2010 წელს კომისიის მიერ მიღებულ იქნა 177 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – გადაწყვეტილება, მათ შორის დავებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და, გადაწყვეტილებები, რომლებიც გამომდინარეობდა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან და კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებიდან.

2010 წლის განმავლობაში არ გასაჩივრებულა კომისიის მიერ მიღებული არც ერთი ნორმატიული აქტი.

2010 წელს კომისიის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შუამდგომლობა ბუნებრივი გაზის ლიცენზიატ საწარმოში სპეციალური მმართველობის ერთი წლის გაგრძელების შესახებ, რომელიც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

2010 წელს კომისიის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიდან გასაჩივრდა 8 გადაწყვეტილება, მათ შორის, 6 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე და დავებთან დაკავშირებული 2 გადაწყვეტილება.

მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სტატუსით 2010 წლის განმავლობაში კომისიამ მონაწილეობა მიიღო 33 სასამართლო სხდომაზე 20 სხვადასხვა საქმეზე, მათ შორის, 14 საქმეზე მოპასუხის სტატუსით, 3 საქმეზე მესამე პირის სტატუსით, ერთ საქმეზე აპელანტის სტატუსით, ერთ საქმეზე კასატორის სტატუსით და ერთ საქმეზე სპეციალური მმართველის დანიშვნის მოთხოვნით.

გასაჩივრებული საქმეებიდან, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები 2010 წელს სასამართლოს მიერ არ გაუქმებულა, ხოლო, კომისიის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადაწყდა 6 საქმე, სააპელაციო სასამართლოში 6 საქმე, ხოლო, უზენაეს (საკასაციო) სასამართლოში 3 საქმე.

#### 4. მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა

როგორც უკვე აღინიშნა, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა სატარიფო და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მეთოდოლოგიების შემუშავება, თუმცა, ამავდელ დროს, მის ფუნქციას ასევე წარმოადგენს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორის სამართლებრივი რეგულირებაც.

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორის სამართლებრივი რეგულირებისა და სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის მიზნით, კომისიის მიერ 2010 წლის განმავლობაში მიღებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიდან, 2 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტი, ხოლო 13 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება მოქმედ ნორმატიულ აქტებში.

1. 2010 წლის 25 თებერვლის დადგენილება № 2 „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 1999 წლის 8 სექტემბრის № 6 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესი და მეთოდოლოგია“ სრულყოფილად არ ასახავდა ბოლო პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს და მასში გათვალისწინებული არ იყო ბუნებრივი გაზის გატარების საფასურის დადგენის პრინციპები.

2. 2010 წლის 18 მარტის დადგენილება № 4 „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, გაფართოვდა “გატარების” მცნება და განისაზღვრა, რომ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის ქსელის მეშვეობით სხვისი კუთვნილი ბუნებრივი გაზის გადატანა წარმოადგენდა ბუნებრივი გაზის გატარებას.

შესაბამისად, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილება აისახა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“. ამავდროულად, მასში შეტანილი იქნა დამატება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების პროცედურების თაობაზე.

3. 2010 წლის 17 ივნისის დადგენილება № 6 „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

კომისიის 2010 წლის 17 ივნისის № 6 დადგენილებით „სასმელი წყლის

მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ შეტანილ იქნა ცალკეული რედაქციული ცვლილებები და მას დაემატა გარდამავალი ნორმა, რომელმაც მისცა საშუალება წყალმომარაგების საწარმოებს, გადაეწყვიტათ აღრიცხვიანობის პრობლემა არასაყოფაცხოვრებო კატეგორიის მომხმარებლებთან.

4. 2010 წლის 22 ივლისის დადგენილება № 11 „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კომისიაში შემოსული ინფორმაციის განზოგადოების შედეგად, გაირკვა, რომ წყალმომარაგების საწარმოებმა გამოიყენეს რა „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ არსებული ჩანაწერი, სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტა/აღდგენის (ჩაჭრა/აღდგენის) საფასური განსაზღვრეს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით.

კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებდა სამართლებრივ ფარგლებში მოქცევას, რის გამოც, შეტანილი იქნა ცვლილება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“, ახლებურად განისაზღვრა სასმელი წყლით მომარაგების აღდგენის საფასურის სამართლებრივი ბუნება და მისი პირობითი ოდენობის განსაზღვრის უფლება დარჩა მხოლოდ კომისიას. ამასთან, განისაზღვრა, რომ ეს შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნეს წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშებისას.

სასმელი წყლით მომარაგების აღდგენის საფასური განისაზღვრა კომისიის 2010 წლის 30 დეკემბრის №33/1 გადაწყვეტილებით „წყალმომარაგების ქსელიდან ჩახსნილი მომხმარებლის სასმელი წყლის მიწოდების აღდგენის საფასურის დამტკიცების შესახებ“.

5. 2010 წლის 27 ივლისის დადგენილება № 12 „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

2010 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლითაც კომისიას მიენიჭა უფლებამოსილება ტარიფი სასმელი წყლის მიწოდებასა და წყალარინებაზე დაედგინა განცალკევებულად.

აქედან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიაში“.

6. 2010 წლის 12 აგვისტოს დადგენილება № 14 „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, კომისიას დაევალა, 2010 წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყო კოდექსის 96<sup>1</sup> და 149-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრა, ადმინისტრაციული

სახდელის დადებასა და იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული წესების, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ფორმების დამტკიცება, რაც აისახა კომისიის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში.

7. 2010 წლის 17 აგვისტოს დადგენილება № 18 „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2010 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიას დაევალა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის დადგენის წესი.  
კომისიამ გადაწყვიტა, რომ წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის მარეგულირებელი ნორმა უნდა ასახულიყო 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებულ „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“. შესაბამისად, „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებს“ დაემატა 18<sup>1</sup> მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მიერთების საფასურის დაანგარიშების წესს. ამასთანავე, „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებს“ დაემატა გარდამავალი ნორმა, რომელიც მისცემს საშუალებას სასმელი წყლის მიწოდებელ საწარმოებს, გადაწყვიტონ აღრიცხვიანობის პრობლემა საყოფაცხოვრებო კატეგორიის გარკვეული ტიპის მომხმარებლებთან.
8. 2010 წლის 26 აგვისტოს დადგენილება № 19 „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“  
ამ დადგენილების მიღების საფუძველია, კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებულ ზემოაღნიშნულ წესებში ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრა.
9. 2010 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება № 21 „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, დადგენილება № 22 „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და დადგენილება № 23 „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომისიის მიერ სხვადასხვა პერიოდში გამოცემული იქნა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“ და „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები“, ხოლო მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, სამივე ნორმატიული აქტი შეიცავდა დანართ № 2-ს მომხმარებლისათვის მისაწოდებელ ქვითარზე დასატანი სავალდებულები ინფორმაციის შესახებ.

არსებული პრაქტიკის განზოგადოების შედეგად, კომისიის მიერ მიჩნეული იქნა, რომ ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებიდან ამოღებული უნდა ყოფილიყო დანართი № 2 და ამავდროულად, უნდა შესულიყო ცვლილება, რის თანახმადაც, მომხმარებლისათვის მისაწოდებელ ქვითარზე დასატანი სავალდებულები ინფორმაცია განისაზღვრებოდა კომისიის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ვინაიდან, კომისიას მისცემოდა საშუალება, საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ მომსახურე საწარმოსათვის დაედგინა დამატებითი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიას ქვითრის მეორე მხარეს დასატანი სავალდებულები ინფორმაცია წყალმომარაგებისა და ბუნებრივი გაზის სექტორში განსაზღვრული აქვს ერთიანი სახით, ხოლო ელექტროენერჯის სექტორში კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული აქვს ელექტროენერჯის განაწილების სამი ლიცენზიატისათვის ინდივიდუალურად.

10. 2010 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება № 23 „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

„ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესებში“ შეტანილი ცვლილება განპირობებული იყო „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით, რის თანახმადაც, რეგულირების საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 პროცენტს.

11. 2010 წლის 18 ნოემბრის დადგენილება № 25 „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კომისიის 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 38-ე მუხლი არეგულირებდა აღრიცხვიანობის მოწესრიგებას გარდამავალ პერიოდში, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2011 წლის 1 იანვრამდე.

კომისიის მიერ მიჩნეული იქნა, რომ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 38-ე მუხლის მოქმედება უნდა გაგრძელებულიყო 2012 წლის 1 იანვრამდე, ვინაიდან კიდევ არსებობდა ამ მუხლის საჭიროება, რათა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებს ჰქონოდათ საშუალება,

მომხმარებლისათვის მისაღები პირობების გათვალისწინებით გაეუმჯობესებინათ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვიანობა.

**12. 2010 წლის 18 ნოემბრის №26 დადგენილება „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგის ოდენობის გაანგარიშების წესის“ დამტკიცების შესახებ“.**

კომისიის მიერ 2010 წლის 18 ნოემბერს №26 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების ოდენობის გაანგარიშების წესი“, რომლის საფუძველზეც ნორმატიული დანაკარგების ოდენობის განსაზღვრა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებისათვის განხორციელდება ინდივიდუალურად, მათ საკუთრებაში არსებულ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის თავისებურებების (სხვადასხვა წნევის ქსელის სიგრძის, ქსელში გამოყენებული მილების ტიპის, მისი განთავსებისა და სხვა) გათვალისწინებით.

**13. 2010 წლის 30 დეკემბრის №31 დადგენილება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“.**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2010 წლის 15 დეკემბერის საქართველოს კანონის თანახმად, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა 49<sup>8</sup> მუხლი, რომლითაც განისაზღვრა სეზონურობის გათვალისწინებით წყალმომარაგების საფასურის დარიცხვის დროებითი წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად, წყალმომარაგების სისტემების სრულად მოწესრიგებამდე კომისია უფლებამოსილია გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო ან/და არასყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების საფასურის დარიცხვის წესი, სეზონურობის გათვალისწინებით, განსაზღვროს განსხვავებულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ შევიდა დამატება და სასმელი წყლის მიწოდებელ საწარმოებს მიენიჭათ უფლება, წყალმომარაგების სისტემის სრულ მოწესრიგებამდე, ყინვის პერიოდის განმავლობაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე, განესაზღვრათ ამ პერიოდის ხანგრძლივობა და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მომხმარებლისთვის მოხმარებული სასმელი წყლის საფასური დაერიცხათ განსხვავებული წესით.



## 5. სერტიფიკაცია

მომხმარებელისა და განაწილების ლიცენზიატს შორის ინტერესების დაბალანსებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებლების მომსახურების ხარისხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მოვალეობას წარმოადგენს მომხმარებლების მომსახურების ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგი.

მომხმარებელთა ელექტრომომარაგების მომსახურების ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება ორი მიმართულებით:

1. ელექტრომომარაგების საიმედოობა (უწყვეტობა), რომელიც განსაზღვრავს განაწილების ლიცენზიატის შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნა მათი საიმედო ელექტრომომარაგებით. ეს მაჩვენებელი ხასიათდება ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტების რაოდენობითა (სიხშირით) და მათი ხანგრძლივობით.
2. კომერციული ხარისხი, რომელიც ხასიათდება ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობით, რაც გამოიხატება მომხმარებელთა მოთხოვნების დროულად და ხარისხიანად შესრულებით (აღრიცხვის კვანძის მოწყობა, გამორთული მომხმარებლის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში განმეორებითი ჩართვა, ანგარიშის წარდგენა, მრიცხველის ჩვენების წაკითხვა, მომხმარებლის მიმართვაზე ან საჩივარზე რეაგირება და სხვა).

კომისია მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელებას ახდენს მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობისა და კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციების საფუძველზე, რომლებიც დამუშავებულ იქნა ERRA-ს რეკომენდაციებით, მსოფლიო ბანკის მიერ მოწვეული ექსპერტების კონსულტაციებით და სხვადასხვა ქვეყნების (იტალია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, უნგრეთი, რუმინეთი და სხვა) გამოცდილებით, მათი პროექტები განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილებები.

„კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია“ ითვალისწინებს:

- ა) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და დამუშავებას;
- ბ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის წარდგენას კომისიაში;
- გ) კომისიის მიერ მომხმარებელთა მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ განაწილების ლიცენზიატის მიერ წარდგენილი ანგარიშის მონაცემთა გაანალიზებასა და მონიტორინგს.

„ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია“ ითვალისწინებს:

- ა) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტრომომარაგების

- საიმედოობის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციასა და დამუშავებას;
- ბ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტრომომარაგების საიმედოობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას კომისიაში;
  - გ) კომისიის მიერ ელექტრომომარაგების საიმედოობის შესახებ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისგან კომისიაში წარმოდგენილი ანგარიშის მონაცემთა გადამოწმებას და გაანალიზებას.

საანგარიშო წლის განმავლობაში, ყოველ კვარტალში ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების (სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“) მიერ ხდება კომისიაში მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მაჩვენებელთა წარმოდგენა (ელექტრომომარაგების საიმედოობის ხარისხი, კომერციული მომსახურების ხარისხი).

ელექტრომომარაგების საიმედოობის განსაზღვრისათვის შემოტანილია სამი ინდექსი:

- ა) SAIDI – გამორთვების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი-საანგარიშო პერიოდში ერთ მომხმარებელზე გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა (წთ/მომხმარებელი);
- ბ) SAIFI – გამორთვების საშუალო სიხშირის ინდექსი-საანგარიშო პერიოდში ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო რაოდენობა (გამორთვა/მომხმარებელი);
- გ) ENS – მიუწოდებელი ელექტროენერჯის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ მიეწოდა მომხმარებელს გამორთვების გამო (კვტ/სთ).

აღნიშნული ინდექსების საშუალებით განისაზღვრება თუ რამდენად საიმედოდ მუშაობს განაწილების ლიცენზიატის ელექტრომომარაგების სისტემა და როგორია ამ სფეროში მომსახურების ხარისხი.

კომერციული ხარისხის მაჩვენებლები ეს არის ურთიერთობა ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის. კომისიის მიერ ტარდება მონიტორინგი იმ კრიტერიუმების (სტანდარტები) დასაცავად, რომლებიც დადგენილია კომისიის მიერ განაწილების ლიცენზიატისთვის მომხმარებელთან ურთიერთობაში.

განაწილების ლიცენზიატების მიერ ასევე ხდება ინფორმაციის წარმოდგენა კომისიაში ყოველკვარტალურად, ახალი მომხმარებლის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისა და განაწილების ლიცენზიატის ქსელის მეშვეობით მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურიდან საცალო მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ, რომელთა გადამოწმება და გაანალიზება ხდება კომისიის მიერ.

ინფორმაცია ზემოაღნიშნულის შესახებ ცალკეული კომპანიების მიხედვით 2010 წლისათვის, მოცემულია ქვემოთ.

### სს „თელასი“

ელექტრომომარაგების ხარისხის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები მოცემულია დანართებში №9, №10, საიდანაც ჩანს, რომ ქ. თბილისში ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგვემიური გამორთვების საშუალო წლიური დრო (SAIDI), რომელიც გამოწვეულია შიდა მიზეზებით, შეადგენს 645

წთ/მომხმარებელს, გარეუბანში 259,8 წთ/მომხმარებელს.

ქ. თბილისში ერთ მომხმარებელზე არაგეგმიური გამორთვების საშუალო სიხშირე (SAIFI), რომელიც შიდა მიზეზებითაა გამოწვეული თბილისში არის 5,3 გამორთვა/მომხმარებელი, გარეუბნისთვის 0,8 გამორთვა/მომხმარებელი.

წლის განმავლობაში გამორთვების შედეგად მიუწოდებელმა ელექტროენერგიამ (ENS) შეადგინა 11695,8 კვტ/სთ. (I კვარტ. 2968,7 კვტ/სთ, II კვარტ. 2572,7 კვტ/სთ, III კვარტ. 4522,0 კვტ/სთ, IV კვარტ. 1632,4 კვტ/სთ).

სს „თელასის“ მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, არაგეგმიური წყვეტების გამო ელექტრომომარაგება შეუწყდა 7767 მომხმარებელს, რომელთა აღდგენა დაკავშირებული იყო მარტივ სამუშაოებთან. ამათგან კომისიის მიერ დადგენილ დროში (6სთ) ელექტრომომარაგება აღუდგა 7317 მომხმარებელს.

საანგარიშო პერიოდში ახალი მომხმარებლის სხვადასხვა ძაბვის ქსელზე მიერთების მოთხოვნით კომპანიაში შევიდა 4698 განცხადება.

საშუალო ძაბვაზე (6,10კვ) მიერთებას ითხოვდა 85 მომხმარებელი, დაკმაყოფილდა 85. მიერთების შედეგად მოთხოვნილმა სიმძლავრემ მოიმატა 27727 კვტ-ით.

დაბალ ძაბვაზე (380/220ვ) მიერთების მოთხოვნით შევიდა 4613 განცხადება, დაკმაყოფილდა 4613. სიმძლავრის მოთხოვნა გაიზარდა 68926 კვტ-ით.

კომპანიისთვის განაწილების ქსელის მეშვეობით მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურიდან საცალო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების (გატარების) მიზნით მიმართვა არ ყოფილა.

### სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“

ელექტრომომარაგების ხარისხის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები წარმოდგენილია დანართებში №11 და №12.

ქალაქში ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმიური გამორთვების საშუალო წლიური ხანგრძლივობა (SAIDI), რომელიც გამოწვეულია შიდა მიზეზებით, არის 1292 წთ/მომხმარებელი, სასოფლო დასახლებაში 4610 წთ/მომხმარებელი.

ქალაქში ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების არაგეგმიური გამორთვების საშუალო წლიური სიხშირე (SAIFI) გამოწვეული შიდა მიზეზებით შეადგენს 9,72 გამორთვა/მომხმარებელს, სოფლისთვის 24,9 გამორთვა/მომხმარებელს.

2010 წელს გამორთვების გამო მომხმარებლებისთვის მიუწოდებელმა ელექტროენერგიამ (ENS) შეადგინა 4471388 კვტ/სთ.

სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის“ მონაცემებით, არაგეგმიური წყვეტების გამო გამორთულ მომხმარებელთა რაოდენობამ შეადგინა 3323, რომელთა ელექტრომომარაგების აღდგენა დაკავშირებული იყო მარტივ სამუშაოებთან. კომისიის მიერ დადგენილ დროში (6სთ) ელექტრომომარაგება აღუდგა 3265 მომხმარებელს.

განაწილების ლიცენზიატს ძაბვის ხარისხის შესამოწმებლად მიმართა 150 მომხმარებელმა, ამათგან 140 მომხმარებლისთვის ძაბვის შემოწმება განხორციელდა კომისიის მიერ დადგენილ დროში (5 სამუშაო დღე).

ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების შესახებ შევიდა 1309 განცხადება, აქედან საშუალო (6,10კვ) ძაბვაზე 67, დაკმაყოფილებულ იქნა 67 მომხმარებელი. მოთხოვნილი სიმძლავრე გაიზარდა 7795 კვტ-ით.

დაბალ ძაბვაზე (380/220ვ) შევიდა 1242 განცხადება, დაკმაყოფილებულ იქნა 1242. მოთხოვნილი სიმძლავრე გაიზარდა 5989 კვტ-ით.

განაწილების ლიცენზიატის ქსელის მეშვეობით მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურიდან საცალო მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის მიწოდების მოთხოვნა არ ყოფილა.

### სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ელექტრომომარაგების ხარისხის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები წარმოდგენილია დანართში 13.

განაწილების ლიცენზიატის არეალში გამორთვების ყველა მიზეზის გათვალისწინებით (ფორსმაჟორი, გარე მიზეზები, შიდა მიზეზები, გეგმიური) ჯამური წლიური წყვეტების ხანგრძლივობა (SAIDI) ერთ მომხმარებელზე არის 10609 წთ/მომხმარებელი.

ასევე, ერთ მომხმარებელზე გამორთვების ყველა მიზეზების გათვალისწინებით (ფორსმაჟორი, გარე მიზეზები, შიდა მიზეზები, გეგმიური) გამოწვეული წყვეტების საშუალო სიხშირე (SAIFI) არის 61.7 გამორთვა/მომხმარებელი.

საანგარიშო პერიოდში გამორთვების გამო მომხმარებლებისათვის მიუწოდებელმა ელექტროენერჯიამ (ENS) შეადგინა ყველა მიზეზების გათვალისწინებით 3100000 კვტ/სთ.

განაწილების ლიცენზიატის ქსელის მეშვეობით მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებიდან საცალო მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებით მიმართვა არ ყოფილა.

ახალი მომხმარებლის საშუალო დაბვის (6,10კვ) ქსელზე მისაერთებლად შევიდა 331 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 282, რის შედეგადაც მოთხოვნილმა სიმძლავრემ მოიმატა 66624,42 კვტ-ით.

დაბალი დაბვის (380/220ვ) ქსელზე მისაერთებლად მიღებულ იქნა 11311 განცხადება, დაკმაყოფილდა 10436. მიერთების შედეგად მოთხოვნილი სიმძლავრე გაიზარდა 74501,6 კვტ-ით.

თუ გავანალიზებთ სს „თელასის“ მომსახურების ხარისხის მაჩვენებლებს და შევადარებთ 2009 წლის IV კვარტლის მონაცემებს დავინახავთ, რომ სს „თელასის“ როგორც ქალაქის ასევე გარეუბნების SAIDI-ს და SAIFI-ს მაჩვენებლები არის გაუმჯობესებული.

რაც შეეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ SAIDI-ის და SAIFI-ის მონაცემებს, IV კვარტლის მაჩვენებლები თითქმის იგივეა, რაც 2009 წლის IV კვარტალში.

როცა ვადარებთ ელექტრომომარაგების (SAIDI, SAIFI) ხარისხის მაჩვენებლებს ჩვენი რეგიონის მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს განაწილების ლიცენზიატებს აქვთ უკეთესი მაჩვენებლები.

რაც შეეხება მიუწოდებელ ელექტროენერჯიას, 2009 წელთან შედარებით შემცირებულია, მაგრამ მისი მაჩვენებლები, ჩვენი აზრით, მაინც მაღალია. მისი შემცირების მიზნით აღნიშნული საკითხი კარგად უნდა გაანალიზდეს განაწილების ლიცენზიატის მიერ და შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა SAIDI-ის და SAIFI-ის მნიშვნელობებს, გამოწვეულს შიდა მიზეზებით, ვინაიდან შიდა მიზეზებით

გამოწვეული წყვეტები ქმნიან სურათს გამანაწილებელი ქსელის ტექნიკური მდგომარეობისა და მენეჯმენტის დონის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგს ზღვრული ტარიფების არსებობის შემთხვევაში, რადგანაც ლიცენზიატებმა მოგების გაზრდის მიზნით შეიძლება მოახდინონ იმ ხარჯების შემცირება, რომელიც საჭიროა არსებულ პირობებში მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაცვით.

2010 წელი იყო მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგის სისტემის დანერგვისა და მისი მოქმედების საცდელი პერიოდი.

ასევე საცდელი პერიოდი იქნება 2011 წელი, რადგანაც კომისია ითვალისწინებს ERRA-ს რეკომენდაციებს და იმ გამოცდილებებს, რომლებიც დაგროვდა ევროპის ქვეყნებში აღნიშნული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

საცდელ პერიოდში გროვდება გარკვეული წინადადებები განაწილების ლიცენზიატებიდან და ასევე კომისიისგან, რომლებიც გათვალისწინებული იქნებიან შესაბამის ინსტრუქციებში.

## 6. საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

როგორც გასულ წლებში, საანგარიშო წელსაც კომისია უზრუნველყოფდა უცხოელ პარტნიორებსა (საზღვარგარეთის ქვეყნების ენერგეტიკულ დაწესებულებებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირსა და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობას. საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით ახდენდა მასმედიის წარმომადგენლებთან რეგულარულ შეხვედრებს, ავრცელებდა ინფორმაციებს კომისიის გადაწყვეტილებების, კომისიის სხდომების დღის წესრიგის, ენერგეტიკის სფეროში არსებული პრობლემებისა და სიახლეების შესახებ. კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებდა მედიის საშუალებით გაშუქებულ არასწორ ინფორმაციაზე.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორობის ფარგლებში, საანგარიშო წელს USAID-ისა და აშშ-ს კომუნალურ მომსახურებათა მარეგულირებელი ეროვნული ასოციაციის (NARUC) მხარდაჭერითა და კომისიის ძალისხმევით ორი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა:

- 1 2010 წლის 17-21 მაისს კენტუკის შტატის ქ. ფრანკფორტში, კენტუკის შტატის კომუნალური მომსახურების კომისიის ოფისში პირველი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომლის დროსაც კომისიის წევრებსა და ამერიკელ რეგულატორთა შორის მოხდა ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება. შეხვედრის დროს ორი ქვეყნის მარეგულირებელ კომისიათა უფლებამოსილების საკითხების გაცნობის გარდა, დისკუსია მიმდინარეობდა სალიცენზიო საკითხების, ბაზრის სტრუქტურის, რეგულირებადი საქმიანობისა და მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით. შედგა შეხვედრები კენტუკისა და ლოუსვილის წყლის კომპანიებში და წყლის რესურსების კონტროლის სააგენტოში.
- 2 2010 წლის 27 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით ქ. ქუთაისში, კომისიის ოფისში გაიმართა მეორე სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც მხარეებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საქმიანობის, მომხმარებელთა მოთხოვნების მართვის, სატარიფო მეთოდოლოგიის, მომსახურების ხარისხის მონიტორინგისა და საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ.

პარტნიორობის პროგრამის დახმარებით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) უშუალო ხელშეწყობით ჯერ კიდევ 1999 წლიდან იღებს სათავეს, ქართველ და ამერიკელ რეგულატორთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა. ხოლო 2008 წლიდან დაწყებული ახალი ტიპის პარტნიორობა აშშ-ის მარეგულირებელი კომისიის – ვერმონტის შტატის კომუნალური მომსახურების საბჭოსთან მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომისიის შემდგომი განვითარების, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შეძენისა და ჩვენს ქვეყანაში რეგულირების უახლესი პრაქტიკის დანერგვის საქმეში. აღნიშნული პარტნიორობის ახალი ეტაპს წარმოადგენს აშშ-ის მარეგულირებელი კომისიის – კენტუკის შტატის

კომუნალური მომსახურების კომისიასთან თანამშრომლობა, რომელიც ორი ქვეყნის მარეგულირებელ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებასა და გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს.

მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო წლის 17-19 სექტემბერს კომისიის ორგანიზებით ქ. ქობულეთში გაიმართა სემინარი ჟურნალისტებისათვის, რომელშიც საქართველოში მოქმედი ყველა წამყვანი მედია საშუალების წარმომადგენელი მონაწილეობდა. სემინარის დროს ჟურნალისტები გაეცნენ კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სიახლეებს.

2010 წელს კომისია აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ენერგეტიკის რეგულირებისადმი მიძღვნილ კონფერენციებში და სემინარებში. მათ შორის, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, უნგრეთში, ნიდერლანდების სამეფოში, ავსტრიაში, უკრაინაში, საბერძნეთში, ბელგიაში და აშშ-ში. იქიდან გამომდინარე, რომ კომისიის თანამშრომლები გაწევრიანებული არიან ენერგეტიკის რეგულატორთა რეგიონალური ასოციაციის (ERRA) კომიტეტებში, წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნული კომიტეტების სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებში. ასევე, ERRA-სა და პროგრამა INOGATE-ს ტრენინგ კურსებში.

საანგარიშო წლის 15 თებერვალს კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ERRA-ს სასწავლო კურსში ელექტროენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის შესახებ, რომლის დროსაც განიხილეს ბაზრების კონკურენციის, ელექტროენერჯით მომარაგებისა და მოთხოვნების, საბითუმო ბაზრის, მისი მოდელისა და სტრუქტურის საკითხები.

2010 წლის 1-3 მარტს კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ERRA/INOGATE ტექნიკური გაცვლის პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა ლატვიის მომსახურების კომისიის შესაბამისი გამოცდილების გაცნობა-გაზიარებას;

საანგარიშო წლის 12-16 ივლისს ERRA-ს ზაფხულის სკოლაში მონაწილეობისას კომისიის წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი მარეგულირებლების როლსა და ფუნქციებს, რეგულირების თეორიასა და პრაქტიკაში; ასევე, ტარიფების დადგენის და ფასების რეგულირების, ლიცენზირებისა და იურიდიულ საკითხებში;

გარდა ამისა, 2010 წლის 15 თებერვალს კომისიის თანამშრომლებმა გაიარეს ERRA-ს ტრენინგ კურსი „ფასების რეგულირება და ტარიფები“, რომელის დროსაც წარმოდგენილი იყო თემები ფინანსური ანალიზის; ტარიფების და კონტროლის საფუძვლების; რეგულირებადი კომპანიებისაგან წლიური შემოსავლების მოთხოვნის მეთოდის შესახებ.

საანგარიშო წლის 23-24 სექტემბერს კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში გამართულ ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA) სამართლებრივი რეგულირების სამუშაო ჯგუფისა და ლიცენზირების კომიტეტის სხდომებში. აღნიშნული შეხვედრების დროს განხილული იყო საკითხები სალიცენზიო პროცედურების ჰარმონიზების, გამრიცხველიანების ამერიკული მეთოდის და მისი რეგულირების ასპექტების; ენერგოეფექტურობის შესახებ.

საანგარიშო წელს კომისიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ენერგეტიკული საოგადოების მარეგულირებელი საბჭოსა (ECRB) და ენერგეტიკული საზოგადოების 5 სამუშაო შეხვედრაში: კერძოდ, მომსახურების ხარისხის, ელექტროენერგეტიკული, ბუნებრივი გაზის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრების დროს განხილული იყო მომსახურების ხარისხის, მარეგულირებელი საქმიანობის გაუმჯობესებისა და მომარაგების უწყვეტობის შესახებ.

გარდა ამისა, 2010 წლის 5 ნოემბერს კომისიის წარმომადგენლებმა, სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ბელგიაში გამართულ მოლაპარაკებებში, რომელიც ენერგეტიკული ქარტიის ფარგლებში ჩატარდა.

2010 წლის 18-21 ოქტომბერს კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შავი ზღვის რეგიონალურ სასწავლო ტურში, რომელიც აშშ-ს კომუნალური მომსახურების სააგენტოს (NARUC) ორგანიზებით აშშ-ში, ინდიანას შტატში გაიმართა.

ასევე, საანგარიშო წლის 11-15 ოქტომბერს, აზიის განვითარების ბანკის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „წყლის კრიზისი და არჩევანი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კომისიის წარმომადგენელმა.




### III. რეგულირებადი დარგების მდგომარეობა

#### 1. ელექტროენერგეტიკის სექტორი


საანგარიშო წელი ელექტროენერგეტიკაში გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული დადებითი ტენდენციებით. კერძოდ, გაიზარდა ელექტროენერჯის გენერაცია (ნახ.1.1; დანართი 14), წინა წელთან შედარებით საანგარიშო წელს სალტეზე გაცემა გაიზარდა 17%-ით. გაიზარდა ელექტროენერჯის მოხმარება, თუმცა უფრო ნაკლები ტემპით, ვიდრე წარმოება (ნახ.1.2) – 9%-ით. აშკარად პოზიტიური ტენდენციაა იმპორტ-ექსპორტის სფეროში (ნახ.1.3). ექსპორტის მოცულობამ უპრეცედენტო ნიშნულს 1 524 მლნ.კვტ.სთ-ს მიაღწია, ხოლო იმპორტ-ექსპორტს აქვს დადებითი სალდო 1 302 მლნ.კვტ.სთ. იმპორტისა და თბოგენერაციის ჩანაცვლება ჰიდროგენერაციით ქართული ენერგეტიკული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. აღნიშნული კუთხით საანგარიშო წელი ძალიან წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან 6.7%-მდე შემცირდა თბოგენერაციის წილი (რომელიც მთლიანად იმპორტირებულ ენერგორესურს ემყარება) და 13%-ით იმპორტის მოცულობა წინა წელთან შედარებით (დანართი 15).

ელექტროენერჯის წარმოება (სალტეზე გაცემა)  
2005-2010 წწ. (ათასი კვტსთ)




ნახ. 1.1

ელექტროენერჯის მოხმარება 2005-2010 წწ. (ათასი კვტსთ)




ენერგოკომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია 2010 წ. 18 ლნ კვტსთ




სახ. 1.2

ელექტროენერჯის იმპორტი 2005-2010 წწ. (ათ. კვტსთ)



ელექტროენერჯის ექსპორტი 2005-2010 წწ. (კვტსთ)



ნახ. 1.3

საერთო შეფასებით შეიძლება საკმაოდ წარმატებულად ჩაითვალოს წარმოების მოცულობის მახასიათებლების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებულია ელექტროენერჯის წარმოებაში (დანართი 16). დანართი 17-დან ჩანს რომ საქართველოს ენერჯეტიკის უმნიშვნელოვანესი გენერაციის წყარო შპს „ენგურჰესის“ ფაქტიური გამოძუშავება 2010 წელს საპროექტო გამოძუშავების ტოლი იყო და მნიშვნელოვნად აჭარბებდა წინა წლების გამოძუშავებას. ასევე

გაუმჯობესებულია ელექტროენერჯის მოხმარების მაჩვენებელი 2010 წელს ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებში წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით (დანართი 18), განაწილების ქსელში ელექტროენერჯის დანაკარგების შემცირების ფონზე, რაც აღრიცხვიანობის და ქსელის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგია.

## ელექტროენერგეტიკული ბაზარი

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა. ენერგეტიკული უსაფრთხოება, ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალურად გამოყენება, კონკურენციის განვითარება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, მდგრადობა, რეგიონული თანამშრომლობა ქართული ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია და სრულად შეესატყვისება ამ სფეროში საერთაშორისო განვითარების ძირითად ვექტორს. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული და ენერგოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად იდეოლოგიად გვევლინება ევროკომისია, რომელმაც ბოლო პერიოდში გამოაქვეყნა ორი კონცეპტუალური დოკუმენტი „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის ლიბერალიზაციის კანონპროექტების შესამე პაკეტი“ და „CO2 გამონაბოლქვების შემცირების ახალი საკანონმდებლო ინიციატივები“. ევროკომისიის ენერგოპოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს სამი მიზანი:

- ენერგოუსაფრთხოების ამაღლება;
- გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება;
- კონკურენტული ბაზრის შექმნა.

ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკის მდგრადი განვითარება როგორც ჩვენი, ასევე ნებისმიერი ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მესიჯია და ქვეყნის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. აღნიშნულ საკითხი არის არამარტო ევროკავშირის, არამედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყურადღების ცენტრში. კერძოდ, 2008 წლის აპრილში NATO-ს ბუქარესტის სამიტზე მოსმენილ იქნა მოხსენება „NATO-ს როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, ხოლო 2010 წლის 5 მაისს თბილისში გაიმართა NATO-ს სემინარი „ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა“.

ევროკავშირის 2003/54/EC დირექტივის შესაბამისად ენერგეტიკული უსაფრთხოება ნიშნავს ელექტრომომარაგებისა და მიწოდების უწყვეტობას და ტექნიკურ უსაფრთხოებას.

გრძელვადიან ასპექტში ელექტრომომარაგების უწყვეტობა ნიშნავს ერთდროულად ენერგორესურსებზე, გენერაციის სიმძლავრეებზე, ქსელსა და ბაზარზე ადეკვატურ დაშვებას, ხოლო მოკლევადიან ასპექტში ნიშნავს სისტემის მთლიანად და მისი აქტივების ოპერაციულ საიმედოობას, სისტემის ცალკეული ელემენტების მტყუნებით გამოწვეული ცდომილებების დაძლევის უნარის ჩათვლით.

ნაციონალური ხელისუფლება და მთავრობა პასუხს აგებს სტრატეგიულ მიზნებზე, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო ენერგეტიკული ბაზრის სუბიექტების ფუნქციონირებაზე ზედამხედველობასა და მთავრობის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე, ხოლო გადაცემისა და განაწილების სისტემის ოპერატორები უშუალო პასუხისმგებელი არიან ენერგომომარაგების ოპერაციულ უწყვეტობაზე.

ენერგეტიკული უსაფრთხოების არსიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ელექტრომომარაგების უწყვეტობაზე და ტექნიკურ უსაფრთხოებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი მახასიათებლებით:


საკუთარი ენერგორესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობით წლიურ ციკლში; რეალური იმპორტ-ექსპორტის დინამიკით წლიურ ციკლში იმ მომენტის გათვალისწინებით, რომ თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგია უნდა ჩაითვალოს რეალურ იმპორტად, ვინაიდან ენერგორესურსი (ბუნებრივი გაზი) მიღებულია იმპორტით;

სისტემის პიკური დატვირთვების ანალიზი გენერაციის ქონებულ ჯამურ სიმძლავრესთან მიმართებაში;

არსებული ენერგორესურსების (ჰიდრორესურსების) რაციონალურად გამოყენების მკაცრი კონტროლი და ანალიზი;

სისტემური ავარიების რაოდენობა, მიუწოდებელი ენერგიის მოცულობა და გამომწვევი მიზეზების ანალიზი.

**სისტემის პიკური დატვირთვა 1999 - 2010 წ. (მვტ)**



2010 წლის მონაცემებით, იმპორტ-ექსპორტის რეალური წლიური სალდო დადებითია და შეადგენს 609,7 მლნ.კვტ.სთ-ს, ხოლო თბოგენერაციის გარეშე 1 302 მლნ.კვტ.სთ-ს. გენერაციის ქონებული სიმძლავრე 2010 წელს შეადგენდა 3333,2 მვტ, სისტემის პიკმა 31 დეკემბერს შეადგინა 1620 მვტ. თუ დავუშვებთ, რომ გენერაციის ობიექტები მუშაობდნენ ქონებული ჰიდრორესურსების რაციონალურად გამოყენების

რეჟიმში – ჰიდროგენერაციის დატვირთვა შეადგენდა 1207 მვტ-ს, ხოლო თბოგენერაციის 423 მვტ-ს და იმავდროულად ხორციელდებოდა როგორც იმპორტი (87 მვტ დატვირთვით), ასევე ექსპორტი (97 მვტ დატვირთვით), რაც მიუთითებს სისტემაში სიმძლავრეებისა და რესურსების საკმარისობაზე და მის მდგრადობაზე.

საანგარიშო წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „დახმარების შესახებ“ ხელშეკრულება აშშ-სა და საქართველოს შორის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. გრანტის სავარაუდო მოცულობა შეადგენს 124 555 ათას აშშ დოლარს. პროგრამა შედგება სამი კომპონენტისაგან:

ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების ხელშეწყობა;

ბუნებრივი გაზის გადაცემის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

ენერჯის გაუმჯობესებული გადაცემა.

მე-3 კომპონენტში (33 მილიონი აშშ დოლარი) დასრულდება ელექტროენერჯის გადაცემის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც გაზრდის ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობას, გაიზრდება ენერგოუსაფრთხოება და საქართველოში ელექტროენერჯის მიწოდებაში ფაქტობრივად აღმოიფხვრება შეფერხებები.

საქართველო, პირველ რიგში, მომხიბლავია იმით რომ მას გააჩნია მდიდარი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომლის მხოლოდ 20-25%-ათვისებული. პროგრამის პირველი კომპონენტის შესაბამისად 9.6 მილიონი დოლარი დაიხარჯება ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისათვის ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კვლევების ჩატარების გზით. სავარაუდოდ უზრუნველყოფილი იქნება 70 მილიონი აშშ დოლარის მოზიდვა დაახლოებით 400 მვტ სიმძლავრის ახალი, სუფთა და ნახშირორჟანგისაგან თავისუფალი სიმძლავრეების შესაქმნელად. „დახმარების შესახებ“ ხელშეკრულების თანახმად საქართველოს მხარე ვალდებულია:

- უზრუნველყოს არსებულ ენერგოქსელზე თავისუფალი დაშვება და მისი საკმარისი გამტარუნარიანობა, რათა შესაძლებელი იყოს ახალი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების მიერ გამოქმუნებული ენერჯის პრიორიტეტული გატარება ამ ქსელში. მათ შორის ახალ 400 კვ-იან საექსპორტო ხაზში თურქეთის მიმართულებით, თუმცა სეზონური შეზღუდვებით (რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყანაში ზამთრის პერიოდში ენერჯიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება);

- შემოიღოს სამართლიანი და გამჭვირვალე მართვის წესები გადატვირთვის დროს თურქეთში ექსპორტისათვის გამოყენებული 400 კვ-იანი ხაზის ექსპლოატაციისას და გამოიკვლიოს და შექმნას ახალი საექსპორტო სიმძლავრე თურქეთში ელექტროენერჯის გასატანად.

- დროულად შეასრულოს საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელი 500-400 კვ-იანი ქსელის დაფინანსების, მშენებლობის, ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების ვალდებულება;

- გააგრძელოს სამართლიანი და გამჭვირვალე წესების და მარეგულირებელი ნორმების შემუშავება და დაცვა (მათ შორის ენერგეტიკის მეორადი კანონმდებლობა) ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად;

- გააგრძელოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ავტონომიის ხელშეწყობა;

- გააგრძელოს რეფორმების განხორციელება კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების და ინვესტიციების სტიმულირებაზე.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით დაგეგმილი ღონისძიებებიდან ასევე საინტერესოა შემდეგი პროექტები:

- 1 მაღალი ძაბვის ქვესადგურებში ძირითადი მოწყობილობების შეცვლა, ციფრული დაცვების ინსტალაცია.
- 2 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობა აზერბაიჯანის მიმართულებით და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება გარდაბნის 500 კვ-იან ქვესადგურში.
- 3 400 კვ-იანი მ.ძ. გადამცემი ხაზის მშენებლობა სომხეთამდე და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ქსნის 500 კვ-იან ქვესადგურში.

ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე მესამე მხარის დაშვება. საერთაშორისო დონეზე ეს ნორმა რეგულირდება ევროკომისიისა და ევროპარლამენტის №1228/2003 რეგლამენტით „ქსელზე თავისუფალი დაშვების პირობები ელექტროენერჯის საერთაშორისო გაცვლისათვის“, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის განვითარების და ინვესტიციების მოდინების ხელშეწყობა:


- 1 ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლებისა და ქსელით მოსარგებლე სხვა სუბიექტების ინტერესების დაცვა.
- 2 არადისკრიმინაციული, ტრანსპარენტული, საინვესტიციოდ მომხიბვლელი და სტაბილურობის უზრუნველყოფი მარეგულირებელი ჩარჩოების შექმნა.
- 3 ევროპის ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრაციის პრიორიტეტული განვითარება.

„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიხედვით, მიმდინარეობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის პერმანენტული გახსნა. კერძოდ, ამჟამად ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებელს უფლება აქვს ელექტროენერჯია შეისყიდოს ელექტროენერჯის ნებისმიერი გამყიდველისაგან, თუ მისი წლიური მოხმარება შეადგენს 7 მლნ კვტ.სთ-ს, ხოლო 2017 წელს საქართველოში ელექტროენერჯის შესყიდვა ყველა მომხმარებელს შეეძლება ნებისმიერი გამყიდველისაგან. ასევე, პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტროენერჯის მყიდველისათვის ელექტროენერჯის გატარება. იმავედროულად „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, კანონის თანახმად, მცირე ჰიდროელექტროსადგურებს უფლება აქვთ ელექტროენერჯია მიყიდონ საცალო მომხმარებლებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის (გახსნის) მაჩვენებელზე.

ბაზრის გახსნის საპროგნოზო (თეორიული) და ფაქტიური მახასიათებლები მოცემულია ნახ. 1.5-ზე. მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიციური საწარმოებისათვის დადგენილი შეზღუდვა შემცირდა წელიწადში 7 მილიონ კვტ.სთ-მდე, წინა წლებთან შედარებით პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი და პირდაპირი კონტრაქტებით შეძენილი ენერჯის მოცულობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. არასაკმარისად ეფექტურია აგრეთვე საცალო მომხმარებლების მიერ მცირე ჰესებიდან პირდაპირი ხელშეკრულებით ელექტროენერჯის შესყიდვის ნორმა.

როგორც ცნობილია, მარეგულირებელი ორგანოს ფუნქცია მნიშვნელოვნად იცვლება (იზრდება), როდესაც სექტორი ვერტიკალურად ინტეგრირებულიდან გადადის კონკურენტულ სტრუქტურაში. ბაზრის გახსნის ან ლიბერალიზაციის მთავარი ამოცანაა მომხმარებელს შესთავაზოს ენერგეტიკული მომსახურების მიმწოდებლის არჩევანის საშუალება. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, მომხმარებელი გახდეს „თავისუფალი“ ანუ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება შეცვალონ თავისი მომწოდებელი;

მომხმარებლებმა, მწარმოებლებმა და ქსელით მოსარგებლე მიმწოდებლებმა უნდა მიიღონ რეგულირებადი დაშვება ბუნებრივად მონოპოლიზირებულ სეგმენტებზე (გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე, მახალანსირებელ და დამატებით მომსახურებაზე). გენერაციაში და მომარაგებაში კონკურენციაში მყოფი კომპანიების რაოდენობა უნდა იყოს საკმარისი, რომ ავიცილოთ თავიდან ისეთი ბაზრის ჩამოყალიბება, სადაც საბაზრო ძალაუფლება თავმოყრილი იქნება რამოდენიმე მსხვილი არარეგულირებული კომპანიის ხელში. ევროკავშირის ქვეყნების უმეტეს ნაწილში საკანონმდებლო დონეზე ბაზარი 100%-ით გახსნილია, თუმცა რეალურად მომწოდებლის შეცვლის პროცენტი საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო მომხმარებლების შემთხვევაში.



ნახ.1.5

ევროკავშირის დირექტივებით (2009/72/EC – ელექტროენერჯის შიგა ბაზრების შესახებ და 2006/32/EC – ენერჯისა და ენერგომომსახურების ეფექტურად გამოყენების შესახებ და 2004/22/EC – გამზომ ხელსაწყოთა შესახებ), განისაზღვრება ე.წ. სმარტ (გონიერი) აღრიცხვისა და ქსელების ძირითადი მოთხოვნები და საკანონმდებლო ჩარჩოები. მათ შესაბამისად საბოლოო მომხმარებლებთან უნდა განთავსდეს ისეთი აღრიცხვის ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტროენერჯის ფაქტიური მოხმარების ზუსტ აღრიცხვას, ასევე უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოწოდებას მოხმარების ფაქტიური დროის შესახებ. მაგრამ ეს მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ფინანსურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს და პროპორციული უნდა იყოს ენერჯის ეკონომიის პოტენციალისა. ამას გარდა, აუცილებელია მომხმარებლებს წარედგინოთ ქვითრები შესაბამისი სიხშირით, რათა მან შეძლოს თავისი ენერგომომხმარების რეგულირება. სმარტ აღრიცხვების მოთხოვნები გამკაცრებულია 2009/72/EC დირექტივაში, სადაც ევროკავშირის ქვეყნებისადმი წაყენებულია მოთხოვნა 2012 წლამდე შეაფასონ სმარტაღრიცხვის განხორციელების გზები და შესაძლებლობები, ხოლო 2020 წლისათვის უზრუნველყონ მომხმარებლების 80% სმარტგაზომვის საშუალებებით.



ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებობს ნაციონალური პროგრამები სმარტალრიცხვის განხორციელებისა, სადაც გაწერილია როგორც განხორციელების ვადები, ასევე პასუხისმგებლობები და ფინანსირების წყაროები და სტრუქტურა, ასევე დამუშავებულია შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია.

„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიხედვით, საქართველოში უნდა მოხდეს ინდივიდუალურად გამრიცხველიანების პროცესის სრულად განხორციელება, ხოლო „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად კვალიფიციური საწარმოები ვალდებული არიან მიწოდების და მიღების პუნქტებში არსებული ყველა მრიცხველი ჩართონ ელექტროენერჯის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზირებულ სისტემაში და უზრუნველყონ ამ მრიცხველებზე დაფიქსირებული ინფორმაციის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის გადაცემა. ცხრილში 1.2 მოცემულია გამანაწილებელ კომპანიებში ინდივიდუალური გამრიცხველიანების არსებული მდგომარეობა და გამრიცხველიანების გეგმა-გრაფიკი.

ცხრილი.1.2.

ენერგოკომპანიების დასახელება	მომხმარებელთა რაოდენობა სულ	ინდივიდუალური მრიცხველიანი მომხმარებელი	მომხმარებელი ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე	ინდივიდუალური გამრიცხველიანება			
				2011	2012	2013	2014
შპს „ენერგო-პროჯორჯია“	846 105	438 163	407 942	120 717	120 113	120 601	46 511
სს „თელასი“	437 114	435 803	1 311	1 311	–	–	–
სს „კახეთის ენერგო-დისტრიბუცია“	125 574	44 964	80 610	30 000	35 000	15 610	–

რაც შეეხება კვალიფიციურ საწარმოებს, სახელმწიფო ელექტროსისტემა (გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) აღჭურვილია SKADA-ს სისტემით, რომელიც მოიცავს 37 მართულ წერტილს, ხოლო კომერციული აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემა (ალფა-ცენტრი) ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული.

## 2. ბუნებრივი გაზის სექტორი


საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემას ექსპლუატაციას უწევს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. ამ სისტემით ხორციელდება საქართველოს მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით მომარაგება და სატრანზიტო მომსახურება სომხეთისათვის.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ექსპლუატაციაშია 1939.52 კმ საერთო სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები და განშტოებები, 85 გაზგამანაწილებელი სადგური, 5 გაზის გამზომი კვანძი.

გაზსადენების მთლიანი საპროექტო წარმადობა შეადგენს 55 მლნ. მ<sup>3</sup>-ს დღე-ღამეში, ანუ 20 მლარდ მ<sup>3</sup> ბუნებრივ გაზს წელიწადში. გაზსადენების მთლიანი გეომეტრიული მოცულობაა 551 151 მ<sup>3</sup>.


ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებით რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ნაჩვენებია სქემაზე (დანართი 19).

2010 წელს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენით ტრანსპორტირებულ იქნა 2 534 მლნ. მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი, მათ შორის: საქართველოს მიეწოდა 1 094 მლნ. მ<sup>3</sup>, ტრანზიტით სომხეთს - 1 440 მლნ. მ<sup>3</sup>. (იხ. გრაფიკი):



- - საქართველოსთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზი;
- - სომხეთისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზი;

ქვემოთ გრაფიკულად ნაჩვენებია 2000-2010 წლებში საქართველოსათვის მოწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობები (მლნ. მ<sup>3</sup> წელიწადში).



საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემა 1959 წლიდან ფუნქციონირებს. 1963 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ორჯონიკიძე-თბილისის 700 მმ-იანი გაზსადენი, რამაც საქართველოს შესაძლებლობა მისცა ბუნებრივი გაზით ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყაროდან – რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან მომარაგებულიყო.

მაგისტრალური გაზსადენის ექსპლუატაციას ახორციელებენ ყაზბეგის, ქვეშეთის, საგურამოსა და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალები. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემა 9 გაზსადენს მოიცავს: ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია, ყაზახ-საგურამო, ყარაღალ-თბილისი, ვლადიკავკაზ-თბილისი, საგურამო-ქუთაისი, ქუთაისი-სოხუმი, რუსთავი-თელავი-ჟინვალი, წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი და გომი-ხაშური-ბაკურიანი.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის უსაფრთხო და უავარიო ექსპლუატაციის მიზნით ბოლო წლების განმავლობაში მათზე ჩატარებულია საკმაოდ ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთელი წლის მანძილზე კონტროლზე იყო აყვანილი სამდინარო გადასასვლელები და მეწყერსაშიში ადგილები. წინასწარ გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად არ მომხდარა გაზსადენის ფუნქციონირების შეჩერება, რის შედეგადაც საქართველოს გაზმომარაგება და სომხეთის ტრანზიტი მიმდინარეობდა შეუფერხებლად.

ქ. თბილისს ემსახურება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიები: შპს

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“, შპს „დიდი დილომი“, შპს „ვარკეთილაირი“, სს „ენერგოკავშირი“ და შპს „ყამარი მ“.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 25 დეკემბრის №888 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის 2008 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ საკუთრების უფლების დადასტურების შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 10 თებერვლის № 1-1/281 ბრძანების საფუძველზე შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ შეიძინა 22 გაზგამანაწილებელი კომპანიის აქციები, აგრეთვე აქტივები ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში, დაბა თიანეთში და საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორში სტრატეგიული ინვესტორი გახდა. 2009 წლიდან დღემდე მან განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ 30 ქალაქსა და რაიონში, 50-მდე დასახლებულ პუნქტში უკვე ააშენა 600 000 გრძ. მ გაზსადენი, მოახდინა 40 000 გრძ. მ-ზე მეტი გაზსადენის რეაბილიტაცია.

### 3. წყალმომარაგების სექტორი

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 26 ათასი კმ-ს აღწევს. საქართველოში 860-მდე ტბაა, უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170კვ.კმ-ს არ აღემატება, მათი უმეტესობა მტკნარია.

მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსების უდიდეს ნაწილს – 95%-ს (571,7 მ<sup>3</sup>/წმ – 49,4 მლნ. მ<sup>3</sup>/დღ.დ.) შეადგენს სასმელი წყლები, რომლებიც ფართოდ, მაგრამ არათანაბრად არიან გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ წყლებისა ხასიათდება მარილის ძალზე დაბალი შემცველობით (200-300 მილიგრამამდე ლიტრზე). ასეთი წყლები, გარდა სასმელად და ჩამოსასხმელად ვარგისიანობისა, მათი სიხისტიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა უალკოჰოლო თუ ალკოჰოლიანი სასმელების ჩამოსასხმელად. მიწისქვეშა მტკნარი წყლების საერთო რესურსების დაახლოებით მესამედი ნაწილი დეტალურად არის შესწავლილი და მათი მარაგი დამტკიცებულია სახელმწიფო კომისიაში 145,5 მ<sup>3</sup>/წმ რაოდენობით.

მიუხედავად ბოლო პერიოდში გარატებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, ჯერ-ჯერობით საქართველოში წყალსადენების ტექნიკური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა. ეს ეხება როგორც სასმელი წყლის რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

წყლის დაბინძურება თანამედროვეობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, იგი ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული. მინერალური სასუქები, პესტიციდები, (რომლებიც წვიმების დროს მიწღვრებიდან ირეცხება) სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ხშირად ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში, ტბებსა და წყალსატევებში. განსაკუთრებით დაბინძურებულია მდ. მტკვარი, სადაც სპილენძის რაოდენობა 1000-ჯერ, ხოლო მოლიბდენისა - 2500-ჯერ აღემატება დასაშვებ რაოდენობას. გამოკვლევებმა აჩვენა რომ მდ. მტკვარში მატულობს რკინის, ამონიუმის, ფენოლისა და თუთიის რაოდენობა, რაც გამოწვეულია

საწარმოების მიერ გამოყენებული ჩამდინარე წყლებით. ქალაქების კომუნალური და სამრეწველო ჩანადენების შედეგად დამარილიანება მტკვრის წყალში 2-3 ჯერ აღემატება დასაშვებს, გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაცია კი 2-3 ჯერ ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე.

საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი, თბოენერგეტიკა და მრეწველობა.

სექტორების მიხედვით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება ნაწილდება შემდეგნაირად:

- წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი – 344,1 მლნ.მ3/წელ. (67%)
- თბოენერგეტიკა – 163,8 მლნ.მ3/წელ. (31%)
- მრეწველობა – 9,6 მლნ.მ3/წელ. (2%)

ამდენად, ზედაპირული წყლების ძირითადი დამბინძურებელი არის კომუნალური სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები). დღევანდელი მდგომარეობით წყლის გამწმენდ არცერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ხდება არცერთ ქალაქში. პირველადი მექანიკური გაწმენდა ხორციელდება მხოლოდ ქ.თბილის-რუსთავის რეგიონულ გამწმენდ ნაგებობაზე. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ კომუნალურ სექტორზე მოდის საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურების 67%.

წყალმომარაგების სისტემაში კვლავ აქტუალურია შემდეგი საკითხები:

- წყლის ხარჯის ნორმების ფაქტობრივი და ნორმატიული სიდიდის დადგენა;
- წყალმომარაგების სისტემაში ნორმატიული დანაკარგების დადგენა;
- მრავალსართულიანი კორპუსების გამრიცხველიანების პრობლემის გადაჭრა.

წყალმომარაგებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები „მსოფლიო ბანკის“, „ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის“, „აზიის განვითარების ბანკის“, ასევე პროექტი „ათასწლეულის გამოწვევის“ დახმარებით. კერძოდ:

პროექტი „ათასწლეულის გამოწვევის“ ფარგლებში ქუთაისში 2008 წელს დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა მუხიანისა და ფარცხანაყანების სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას. პროექტის განხორციელების შემდეგ, სერვის ცენტრის მიერ მომსახურება 22 ათას 500 აბონენტს გაუმჯობესდება.

ასევე, „მსოფლიო ბანკის“, „ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის“, „აზიის განვითარების ბანკის“, პროექტ „ათასწლეულის გამოწვევის“ ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ფოთში, მარტვილში, ონში, ახალციხეში, კასპში, თელავში, ყვარელში, სიღნაღში, ბაღდადში, სამტრედიიაში, ჭიათურაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, სურამში და სხვა რაიონებში.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდება წყალმომარაგებითა და წყლარინებით მომსახურება და მომხმარებელი გადავა სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიან გრაფიკზე.

წყალმომარაგების კომპანიებისათვის უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს:

- 1 საიმედოობა – სასმელი წყლის საიმედო მიწოდება მომხმარებლისთვის.
- 2 ხელმისაწვდომობა – მომხმარებლებისათვის სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება.

- 3 პასუხისმგებლობა – დარგის განვითარების ხელშეწყობა. ობიექტებისა და ქსელების რეაბილიტაცია-მოდერნიზება. საუკეთესო კომუნალური მომსახურების პრაქტიკის დანერგვა.
- 4 სამართლებრივი პასუხისმგებლობა – საქმის წარმოება ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5 ხასისხი – მომხმარებლის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასმელი წყლითა და მომსახურებით.
- 6 უსაფრთხოება – სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი, სანიტარული ზონებისა და ობიექტების დაცვა, უსაფრთხო სამუშაო პირობებისა და გარემოს შექმნა.

საანგარიშო წელს მუშაობა მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემაში ნორმატიული დანაკარგისა და წყლის მიერთების საფასურის განსაზღვრის წესების დადგენის შესახებ შესაბამის სამართლებრივ და სხვა აქტების პროექტებზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ახალი მომხმარებლის ქსელში ჩართვის საფასურის დადგენა. კომისიის დაკვეთით გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს საინჟინრო აკადემიასთან „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში ნორმატიული დანაკარგების განსაზღვრის მეთოდოლოგია და ახალ მიერთებებზე ერთჯერადი მოსაკრებლის სიდიდის დადგენის წესის“ თაობაზე.

წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური მოიცავს მომხმარებლის (მომხმარებლების) წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისათვის საჭირო ყველა სამუშაოს აღრიცხვის კვანძის მოწყობის (მათ შორის, მრიცხველის) ხარჯების ჩათვლით, აგრეთვე, მომხმარებლის მიერთებით გამოწვეულ სასისტემო ქსელის რეკონსტრუქციის და გაძლიერების პირობით ხარჯებს.

2010 წლის 12 აგვისტოს კომისიის მიერ მიღებულ იქნა №14 დადგენილება „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კომისიას ჯერ კიდევ 2007 წელს დაეკისრა სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირება, შესაბამისად 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით განსაზღვრულ იქნა წყალმომარაგების ტარიფები კატეგორიების მიხედვით.

2010 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ იქნა №24/3 გადაწყვეტილება – „ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის მეშვეობით განხორციელების შესახებ“.

ასევე, 2010 წლის 17 ივნისის №6, 22 ივლისის №11, 27 ივლისის №12, 17 აგვისტოს №18, 01 ოქტომბრის №23, 24 ნოემბრის №27, 30 დეკემბრის №31

დადგენილებებით, ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებაში.

საანგარიშო წელს კომისიაში წყალმომარაგების სფეროში დავებთან დაკავშირებით შემოვიდა 53 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან 41 დასრულდა მორიგებით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე კომისიის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ზოგადად, სასმელი წყლის მიმწოდებლებთან მიმართებაში იკვეთება მომხმარებელთა პრეტენზიები ხანდაზმული დავალიანებებისა და უძრავი ქონების ახალი მფლობელისათვის ძველი დავალიანების დაკისრების გამო. აღნიშნულმა დარღვევამ თავი იჩინა ახალი აბონენტების რეგისტრაციის დროსაც. აბონენტად რეგისტრაციის მსურველებს სასმელი წყლის მიმწოდებლები უყენებენ მოთხოვნას, რომ მათ აღიარონ გასულ წლებში საცხოვრებელი ფართის ძველ მესაკუთრეებზე არსებული დავალიანება, რაც არ შეიძლება მოეთხოვოს ახალ მომხმარებელს და მისი მოთხოვნა არამართლზომიერია, რადგან, მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველია მომხმარებლისათვის წაყენებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, თუ ცნობილია ძველი მესაკუთრის ახალი მისამართი, „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32-ე დადგენილების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მომხმარებლის ახალ მისამართზე გადასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დარიცხული დავალიანება გადაიტანოს ამ მომხმარებლის ახალ მისამართზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყალმომარაგების სექტორის უმთავრეს პრობლემას ამჟამად წარმოადგენს წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა. საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში წყალმომარაგების სისტემა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. მომხმარებლების პრეტენზიებიც სწორედ სასმელი წყლის დროგამოშვებით მიწოდებას უკავშირდება და ისინი მოითხოვენ, რომ მოხდეს მათი სასმელი წყლით უწყვეტი და სტაბილური მომარაგება, მანამდე კი, მოხდეს ტარიფის დიფერენციაცია. ბოლო წლებში სახელმწიფოსაგან გამოიძებნა შესაბამისი ფინანსური რესურსები და დაიწყო წყალმომარაგების სისტემის განახლება, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ასევე, დავების ნაწილი დაკავშირებულია სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ტექნიკური პირობის გაცემასთან, აბონენტებზე ზედმეტად დარიცხულ თანხებთან, ასევე „სასმელი წყლის უკანონო მოხმარების შესახებ“ აქტის შედგენასთან.

2010 წლის 9 დეკემბერს, კომისიის მიერ მოთხოვნილი „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „მცხეთის წყალი“, შპს „რუსთავის წყალი“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაჯარიმებულ იქნენ 5000-5000 ლარის ოდენობით, შესაბამისად – №№30/1-30/2, №№30/3-30/4, №№30/5-30/6 და №№30/7-30/8 გადაწყვეტილებებით.

კომისიამ წყალმომარაგების კომპანიების წარმომადგენლებს ჩაუტარა ტრენინგები საინფორმაციო ცხრილების შედგენის თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის №1-1/13 ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 15 იანვარს შეიქმნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელშიც გაერთიანდა 56


წყალმომარაგების საწარმო, ხოლო ნაწილი დარჩა, როგორც დამოუკიდებელი წყალმომარაგების საწარმო. მანამდე კი, გაუქმდა შპს „დასავლეთის წყალი“ და შპს „აღმოსავლეთის წყალი“, რომელთა ბაზაზე 2009 წლის 1 დეკემბერს 6 რეგიონული ფილიალი (ქუთაისის, გორის, სენაკის, ახალციხის, თელავისა და ბოლნისის) ჩამოყალიბდა.

2010 წლის მონაცემებით, ზემოაღნიშნული საწარმოების მიერ მიწოდებული ბუნებრივი სასმელი წყლის მოცულობა შეადგენს 449 760 408 მ<sup>3</sup> (იხ. დანართი 20-21).




შ ა ნ ა რ თ ე ბ ი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის სტრუქტურა




ენერგეტიკის მარეგულირებელი რეგიონალური ასოციაციის წევრი ზოგიერთი ქვეყნის ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფები დღგ-ის ჩათვლით 2010 წლისათვის

ქვეყნები	ტარიფები აშშ ცენტ/კვტ.სთ
სლოვაკეთი	19.64
თურქეთი	18.13
ლატვია	13.27
ხორვატია	15.15
რუმინეთი	12.04
ლიტვა	15.82
ესტონეთი	12.31
საქართველო	7.97
კოსოვო	5.92
სომხეთი	7.90
აზერბაიჯანი	7.46
მონღოლეთი	6.69
რუსეთი	6.22
არაბეთის ემირატები	4.08
უკრაინა	2.92
ყირგიზეთი	1.52



ენერგეტიკის მარეგულირებელთა რეგიონალური ასოციაციის წევრი ზოგიერთი ქვეყნის ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები ღღ-ის ჩათვლით 2010 წლის ბოლოსთვის


№	ქვეყნების დასახელება	სამომხმარებლო ტარიფები აშშ ცენტი/მ <sup>3</sup>
1	2	3
1	პოლონეთი	65,16
2	სლოვაკეთი	59,84
3	უნგრეთი	58,37
4	ბოსნია ჰერცეგოვინა	55,05
5	ლიტვა	54,85
6	ლატვია	51,83
7	ესტონეთი	50,97
8	ბულგარეთი	49,82
9	სომხეთი	34,58
10	მოლდავეთი	34,57
11	რუმინეთი	29,97
12	საქართველო	28,25
13	აზერბაიჯანი	12,29
14	რუსეთი	10,25
15	უკრაინა	8,8



**ელექტროენერჯის  
წარმოების, განაწილების, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის  
ლიცენზიატთა სია**

№	ლიცენზიატის დასახელება	ლიცენზიის გაცემის თარიღი	ლიცენზიის ნომერი	ლიცენზიის სერია
<b>წარმოება</b>				
1	სს „ხრამკეს I“	1999 წ. 24 დეკემბერი	001	11
2	სს „ხრამკეს II“	1999 წ. 24 დეკემბერი	002	11
3	შპს „თბილისის წყალი“ (ჟინვალტესი)	2000 წ. 23 თებერვალი	007	11
4	შპს „ვარდნილქესების კასკადი“	2000 წ. 23 თებერვალი	008	11
5	შპს „ენგურტესი“	2000 წ. 23 თებერვალი	011	11
6	შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაცია“ (ხადორტესი)	2004 წლის 12 ნოემბერი	059	11
7	შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“	2004 წლის 10 სექტემბერი	060	11
8	შპს „ვარციხე-2005“	2005 წლის 21 მარტი	062	11
9	სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“ ა) რიონტესი ბ) ლაჯანურტესი გ) ძეგრულტესი დ) აწტესი ე) გუმბათტესების კასკადი ვ) შაორტესი ზ) საცხენტესი თ) ჩითახეკტესი	2007 წელი 18 მაისი	075	11
10	შპს „ორთაჭალატესი 2007“	2009 წლის 27 იანვარი	076	11
11	სს „ზატესი“	2009 წლის 9 ივლისი	077	11
12	შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (თბილსრესი)	2010 წლის 11 მარტი	078	11
13	შპს „ჯიფაუერი“	2010 წლის 25 ნოემბერი	079	11
<b>განაწილება</b>				
1	სს „თელასი“	1998 წლი 28 დეკემბერი	3/01	
2	სს „კახეთის ენერჯოდიტრიბუცია“	2003 წლის 23 მაისი	052	14
3	სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“	2007 წელი 18 მაისი	057	14
<b>გადაცემა</b>				
1	სს „საქრუსენერჯო“	2000 წ. 23 თებერვალი	001	12
2	შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	2002 წლის 20 დეკემბერი	004	12
3	შპს „ენერჯოტრანსი“ (წინასწარი ლიცენზია)	2010 წლის 11 ნოემბერი	006	12
<b>დისპეტჩერიზაცია</b>				
1	შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	2002 წლის 20 დეკემბერი	004	13

საქართველოს ელექტროსისტემის 220 – 500 კვ ქსელის რუკა-სქემა



ბუნებრივი გაზის სექტორში  
2010 წელს ლიცენზირებული საწარმოების  
ს ი ა

1	ლიცენზიატის დასახელება	განაწილების ლიცენზიის შესახებ მონაცემები			
		გაცემის დრო და გადაწყვეტილების №	სერია	№	ლიცენზიის მოქმედების ვადა
2	7	8	9	10	
1.	სს „ზუგდიდგაზი“	13.01.10 გადაწყვეტილების №1/1	23	115	უვალო
2.	შპს „თერჯოლის ბუნებრივი აირი“	19.02.10 გადაწყვეტილების №2/1	23	116	უვალო
3.	შპს „სახალხო ექსპრეს სერვისი“	18.03.10 გადაწყვეტილების №5/1	23	117	უვალო
4.	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“	13.05.10 გადაწყვეტილების №10/1	23	118	უვალო
5.	შპს „ნ ტ შ“	10.06.10 გადაწყვეტილების №11/1	23	119	უვალო
6.	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი იმერეთი“	23.12.10 გადაწყვეტილების №32/4	23	120	უვალო
7.	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი გურია“	23.12.10 გადაწყვეტილების №32/2	23	121	უვალო
8.	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი კახეთი“	23.12.10 გადაწყვეტილების №32/3	23	122	უვალო
9.	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი სამეგრელო“	23.12.10 გადაწყვეტილების №32/1	23	123	უვალო

ბუნებრივი გაზის სექტორში  
2010 წელს მოდიფიცირებული ლიცენზიატების  
ს ი ა

№	ლიცენზიატის დასახელება	მოდიფიცირების მიზეზი	გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	შპს „ორუჯევი და ჯანმრთელობა“	ლიცენზიაში ცვლილების შეტანა	10.06.2010წ. გადაწყვ. №11/1	სამოქმედო არეალიდან ამოღებული იქნა გარდაბნის რაიონის სოფელი კალინინო
2	სს „საჩხერეგაზი“	არეალის გაფართოება და ლიცენზიის ვადის გაგრძელება	24.06.2010წ. გადაწყვ. №12/2	შევიდა ცვლილება კომისიის 24.09.2003 წლის №38/1 გადაწყვეტილებაში, გაიცა უვადო ლიცენზია (სერია 23, №060) და მის გამანაწილებელ ქსელს დაემატა სოფლების: ჩიხის, სარეკის, ჭალის, კორბო-ულის, არგვეთისა და ჭიათურის რაიონის სოფელ წასრის გამანაწილებელი ქსელი.
3	შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“	ლიცენზიის ვადის გაგრძელება	24.06.2010წ. გადაწყვ. №12/3	შევიდა ცვლილება კომისიის 30.12.2003 წლის №50/1 გადაწყვეტილებაში, გაიცა უვადო ლიცენზია (სერია 23, №062).
4	შპს „ორუჯევი და ჯანმრთელობა“	ლიცენზიის ვადის გაგრძელება	24.06.2010წ. გადაწყვ. №12/4	შევიდა ცვლილება კომისიის 12.09.2003 წლის №37/2 გადაწყვეტილებაში, გაიცა უვადო ლიცენზია (სერია 23, №058).
5	შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“	არეალის გაფართოება	01.07.2010წ გადაწყვ. №13/1	სამოქმედო არეალს დაემატა სოფლები კრწანისი და ფონიჭალა.
6	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“	არეალის გაფართოება	08.07.2010წ გადაწყვ. №14/1	გაფართოვდა მისი გამანაწილებელი ქსელი ქ. ქობულეთში.
7	სს „გორიგაზი“	არეალის გაფართოება	29.07.2010წ გადაწყვ. №17/1	სამოქმედო არეალს დაემატა სოფლები ბერბუკი, სვენეთი, ბრეთი, წვერი, არადეთი და სალოლაშენი.



**ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების  
ლიცენზიატები**

**I. ტრანსპორტირების ლიცენზიატი**

1. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ -  
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 21

**II. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატები**  
ს ი ა


1. შპს “ყაზტრანსგაზ-თბილისი“ – ქ. თბილისი, მიცკევიჩის №18-ა
2. სს “კასპიგაზი“ – ქ. კასპი, წერეთლის ქ. №46
3. სს “ქუთაისიგაზი“ – ქ. ქუთაისი, ლომოურის ქ. №2
4. სს “რუსთავიგაზი“ – ქ. რუსთავი, დავით გარეჯის №25
5. სს “გორიგაზი“ – ქ. გორი, იოსებძის №1
6. სს “ბოლნისიგაზი“ – ქ. ბოლნისი, წმინდა ნინოს №36-ა
7. სს “თეთრიწყაროგაზი“ – ქ. თეთრიწყარო, ქეთევან წამებულის №4
8. შპს “ბორჯომიგაზი“ – ქ. ბორჯომი, თორის ქ. №92
9. შპს “სამტრედიაგაზი“ – ქ. სამტრედია, დავით აღმაშენებლის №463-ა
10. სპს “ მღებრიშვილი“ –სოფ. ველისციხე 9 აპრილის ქ. №31
11. შპს “ თერჯოლის ბუნებრივი აირი“ – ქ. თერჯოლა, სოფრომადის ქ. №87
12. სპს “იაგანაშვილი და ორველაშვილი“ – გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი
13. შპს “გამა“-აგესს აეროპორტი –ქ. თბილისი, აეროპორტი
14. შპს “დიდი დილომი“ — ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. №12
15. შპს “ორუჯევი და ჯანმრთელობა“ - გარდაბნის რაიონი, სოფ. ყარათაკლა
16. სს “საჩხერეგაზი“ - ქ. საჩხერე, თამარ მეფის ჩიხი №8
17. შპს “ნინიკა“ – ყვარლის რაიონის სოფელი შილდა
18. შპს “აჭარის ბუნებრივი აირი“ - ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №57
19. შპს “გაზშემენი“ – ქ. თბილისი, კაიროს ქ. №2
20. შპს “სართიჭალის გაზი“ - გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალა
21. შპს “ვარკეთილაირი“ - ვარკეთილი 3, დვალის ქ. № 11
22. სს “ენერგოკავშირი“ - მუხიანის I მ/რ, კორპუსი №13
23. შპს “ვაკე“ ქ. თეთრიწყარო, დავით აღმაშენებლის №35
24. შპს “განთიადი“ - გარდაბნის რაიონი, სოფ. ყარაჯალარი
25. შპს “გოგოჭური და კომპანია“ - გარდაბნის რაიონის სოფელი გამარჯვება
26. შპს “სოს“ - გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვება
27. შპს “არზუ-გაზი“ - გარდაბნის რაიონის სოფელი ვახტანგისი
28. შპს “დიდგორი“ - ქ. რუსთავი, მე-8 მ/რ, კორპ. №9-54
29. შპს “ვანიგაზი“ - ქ. ვანი, ტაბიძის ქ. №55-ა
30. შპს “ტაბა“ - გარდაბნის რაიონის სოფელი ტაბახმელა
31. შპს “ლიხაურიგაზი“ - ოზურგეთის რაიონის სოფელი ლიხაური
32. შპს “ამბროლაურიგაზი“ - ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას №8
33. შპს “გ ი ო“ - გარდაბნის რაიონის სოფელი ნორიო

34. შპს „ენერჯია+“ - ქ. ქუთაისი, რაზმაძის ქ. №44
35. შპს „ქართლიგაზი“ - ქ. მცხეთა, ვაჟა ფშაველას №1
36. შპს „დი-ვი-ეს“ - ქ. რუსთავი, XXI მიკრო./რ-ნი 2-14
37. შპს „გასკო“ - ქ. სენაკი
38. შპს „აკრიანი – 2006“ - გარდაბნის რაიონის სოფელი მარტყოფი
39. შპს „ვერსალი“ - სიღნაღის რაიონის სოფელი ბოდბე
40. შპს „ჩირალდანი-XXI“-თბილისი, გუდაურის (ყოფ. სვანიძის) ქ. №7, ბ. 4
41. შპს „ლემშენიერა“ - გარდაბნის რაიონის სოფელი ლემშენიერა
42. შპს „ჩირალდანი“ - ლაგოდეხის რაიონი სოფელი ცოდნისკარი
43. სპს „ზაზა და გიორგი მათიაშვილები“-გურჯაანის რაიონის სოფ. ჩალაუბანი
44. შპს „წალკაგაზი“ - ქ. წალკა, ხრამჭესის ქ. №8
45. შპს „ეს ჯი გაზ-კომპანი“ - ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. №57
46. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი მარნეული“ - ჭავჭავაძის №74-ბ
47. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 74-ბ
48. შპს „ბორჩალო+“ - ქ. თბილისი, თემქა, II მ/რ, კორპ. 16-ბ. ბინა 13
49. შპს „ლ-ნ“ (ახალციხე) – ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29, კორპ. 1
50. შპს „ყამარი“ - ქ. თბილისი, მუხიანის აგარაკები
51. შპს „სახალხო ექსპრეს სერვისი“ - მცხეთის რაიონის სოფელი ლისი
52. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა“ -ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №23
53. შპს „ნ ტ მ“ - გარდაბნის რაიონი, სოფელი კალინინო
54. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი – კახეთი“ -ქ. ყვარელი, აღმაშენებლის ქ. №66
55. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი – იმერეთი“ -ქ. ზესტაფონი, თამარ მეფის ქ. №71
56. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი–გურია“-ქ. ოზურგეთი, ყაზბეგის მე-3 შესახვევი №9
57. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი–სამეგრელო“-ქ. ზუგდიდი, კრილოვის მე-2 შესახვევი №4

2010 წელი სს „თელასი“


ქალაქი

SAIDI – ელექტროენერჯის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა (წთ/მომხმარებელი)



ქალაქის გარეუბანი


SAIDI



2010 წელი სს „თელასი“


ქალაქი

SAIFI – ელექტროენერჯის გამორთვების საშუალო სიხშირე (გამორთვა/მომხმარებელი)



ქალაქის გარეუბანი


SAIFI



2010 წელი სს „კახეთის ენერჯოლისტრიუცია“


ქალაქი

SAIDI - ელექტროენერჯის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა (წთ/მომხმარებელი)



სოფელი, დაბა


SAIDI



2010 წელი სს „კახეთის ენერჯოლისტრიუცია“


ქალაქი

SAIFI - ელექტროენერჯის გამორთვების საშუალო სიხშირე (გამორთვა/მომხმარებელი)




სოფელი, დაბა

SAIFI




2010 წელი სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“

SAIDI - ელექტროენერჯის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა (წთ/მომხმარებელი)



SAIFI - ელექტროენერჯის გამორთვების საშუალო სიხშირე (გამორთვა/მომხმარებელი)




ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული  
ელექტროენერგია 2010 წელს (მლნ.კვტსთ)


№	ელექტროსადგურების დასახელება	ელექტროენერგიის გამომუშავება (მლნ.კვტსთ) სალტედან გაშვება
1	ენგურჰესი	4 270,3
2	ვარდნილჰესი	717,3
3	ვარციხეჰესების კასკადი	796,2
4	ლაჯანურჰესი	420,3
5	შაორჰესი	123,0
6	ბევრულჰესი	156,2
7	გუმათჰესების კასკადი	329,7
8	რიონჰესი	306,2
9	ხრამი I	293,6
10	ხრამი II	380,3
11	ჟინვალჰესი	521,5
12	ზაჰესი	192,8
13	ორთაჭალჰესი	95,6
14	აწჰესი	43,6
15	ჩითახევჰესი	110,2
16	საცხენისჰესი	56,5
17	ხალორიჰესი	138,5
18	დანარჩენი ჰესები	311,5
	<b>ჰიდროსადგურები სულ</b>	<b>9 263,3</b>
19	მტკვარი	549,8
20	თბილსრესი	90,6
21	ენერჯი ინვესტი	15,0
22	ჯიფაუერი	0,54
	<b>თბოსადგურები სულ</b>	<b>655,9</b>
	<b>მთლიანი გენერაცია</b>	<b>9 919,2</b>




საკუთარი კიდრორესურსებით უზრუნველყოფა, 2010 წელი (მლნ.კვტსთ)




რეალური იმპორტისა (იმპორტი+თბოგენერაცია) და ექსპორტის დინამიკა 2010 წელს



ელექტროსადგურების მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგია 2010 წ. (მლნ.კვტსთ,%)




საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოსადგურების მიერ გამოშვებული ელექტროენერგია 2005-2010 წწ. (მლნ.კვტსთ)




## ენგურჰესი


ფაქტიური, საპროგნოზო და საპროექტო გამომუშავების დინამიკა 2007-2010წწ. (მლრდ.კვტ.სთ)



ენერგოკომპანიების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია (მლნ.კვტსთ)



გამანაწილებელ კომპანიებში ელექტროენერგიის დანაკარგების დინამიკა 2008-2010 წწ. (მლნ.კვტსთ)





სასმელი წყლის მიწოდება საქართველოში 2010 წელს

მაჩვენებლები	განზ. ერთეული	2010 წელი
მიწოდება სულ მათ შორის:	მლნ.მ <sup>3</sup>	449,760
თბილისი	მლნ.მ <sup>3</sup>	372,934
აჭარა (ბათუმის გარდა)	მლნ.მ <sup>3</sup>	2,445
ბათუმი	მლნ.მ <sup>3</sup>	4,379
დამოუკიდებელი საწარმოები	მლნ.მ <sup>3</sup>	3,002
„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მ.შ.	მლნ.მ <sup>3</sup>	67,000
ქუთაისი	მლნ.მ <sup>3</sup>	48,675

საქართველოს წყალმომარაგების კომპანიების  
ჩამონათვალი

1	შპს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
2	შპს. „მცხეთის წყალი“
3	შპს „რუსთავის წყალი“
4	შპს „ბათუმის წყალი“
5	შპს „ქობულეთის წყალკანალი“
6	ააიპ „ქედის წყალკანალი“
7	ააიპ „ხულოს წყალკანალი“
8	ააიპ „ხელვაჩაურის წყალი საბინაო კომუნალური მომსახურება“
9	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
10	შპს „აფხაზეთი“
11	შპს „საჩხერის წყალკანალი“
12	შპს „ხიდისყურის წყარო“
13	შპს „ვალეს კომუნალური გაერთიანება“
14	შპს „ალვანკომგაერთიანება“
15	შპს „თუშკომგაერთიანება“
16	ააიპ „შუახევის წყალკანალი“